№ 7

ამხ. მაქს ჰელცი განთავისუფლების შემდეგ ამხ. ვოროშილოვის სახ. პიონერთა ბანაკში

1 9
აგვისტო

რემედასის
საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის
ყოველთვიური ორგანო

2 8
ტფილისი

თვიდან-თვემდე

იტალია

მზადდება ახალი საკატორღო განაჩენები

რომში ძლიერ საიდუმლოდ მზადდება პროცესი, მილნაში იტალიის მეფეზე თავდასხმასთან დაკავშირებით.

მრავალ ასეულ პატიმრებისაგან ხელისუფლებამ მხოლოდ სამოცი კაცი გამოჰყო, რომლებსაც ბრალდებათ უყენებენ მეფეზე თავდასხმაში მონაწილეობას. ახლო მომავალში ეს სამოცი კაცი წარსდგება სასამართლოს სამსჯავროს წინაშე.



ამხ. არნიმ ხაუსვირტი

გერმანიის კომპარტიის ცენ. კომ. გაზეთ „როტე ფახე"ს ყოფილი რედაქტორი, ბურჟუაზულმა სასამართლომ გაზეთში მოთავსებული ფელეტონისათვის მიუსაჯა მას ერთი წლით დაპატიმრება.

წინასწარ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ყველა მათგანს მეფის კატორღა. ფაშისტურმა გამომძიებლებმა ამ სამოცი კაცისაგან გამოჰყვეს მხოლოდ რვა, რომლებსაც ბრალდებათ უყენებენ კომპარტიის წევრობას და ანტიფაშისტურ ორგანიზაციებში აქტიურ მონაწილეობის მიღებას.

მთელი თვის განავლობაში მათ ვერავითარი ფაქტიური მასალები ვერ შეკრიბეს. ისინი ცდილობენ საბრალმდებლო ფაქტების შედგენას და ამ მიზნის მისაღწევად არ ერიდებიან არავითარ ზომებს.

საფრანგეთი

მუსოლინი თხოულობს პოლიტ-ემიგრანტების გაცემას

იტალიიის ფაშისტურმა მთავრობამ კვლავ მოსთხოვა საფრანგეთის მთავრობას, გასცეს მთელი რიგი პოლიტ-ემიგრანტები. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის მთავრობას ჯერ კიდევ არ გამოუთქვამს თავისი თანხმობა ამის შესახებ, პოლიციის აგენტები ყოველდღიურად აგზავნიან საფრანგეთის რესპუბლიკის საზღვრებიდან პოლიტ-ემიგრანტებს. ამრიგად უკანასკნელ ხანებში ელზას-ლოტარინგიიდან გადაგზავნილ იქნა 13 მუშა, გადასახლებულებში უმრავლესობა იტალიელები არიან

ამხ. ჯორჯ ალინსონ, ინგლისის პროლეტარიატის წარმომადგენელი პროფინტერნში რომელიც ეხლახან გაანთავისუფლეს ინდოეთის ციხეში 18 თვის პატიმრობის შემდეგ.

სურათზე: ამხ. ალინსონთან კომპარტიის ბელადების შეხვედრა სადგურში. მარცხნიდან მარჯ. — ამხ. ნატ უოტკინს, ტომ მან, ჯორჯ ალინსნი, გარი პოლიტ, ჯულ გინგტონი.

ჩინეთი

თეთრი ტერორის არსებობის ხუთი თვე

რემედასის აღმასკომის ინფორმ. განყოფილებამ დაასრულა თეთრი ტერორის მსხვერპლთა ჯამის სტატისტიკური გამოანგარიშება. მ/წ. იანვრიდან — მაისამდე. ბურჟუაზიული პრესის ცნობის თანახმად ამ ხუთი თვის განმავლობაში მოკლულთა რაოდენობა უდრის—2.974, დაჭრილია—3.005, ხოლო დაპატიმრებულია-კი—7.949 კაცს.

ამ ხნის განმავლობაში მოეწყო აგრეთვე—97 პოლიტიკური პროცესი. საერთო და სამხედრო სასამართლოების მიერ სიკვდილით დასჯილთა რაოდენობა აღწევს—3.194.

ფინლიანდია

კომუნარების პროცესი

მიმდინარე წლის ივლისის 21, აბოსკოს სასამართლოში დაიწყო კომუნარების პროცესი. სულ ბრალდებულთა რაოდენობა უდრის 47 კაცს, მათ შორის 5 ქალია. ბრალდებულთა შორის არის სეიმის 2 წევრი, ფინლიანდიის გაერთიანებულ პროფკავშირის მდივანი, მუშათა ჟურნალის რედაქტორი და სხვ. მრავალი, ფინლიანდიის მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო ხელმძღვანელები და ბელადები.

სასამართლოს პროცესის დაწყებისას პატიმარმ არვი ტუომინენმა (ფინლიანდიის გაერთიანებული პროფკავშირის ყოფ. მდივანი) განაცხადა: „სასამართლოს შემადგენლობას არა აქვს ჩვენი გასამართლების უფლება. ვინაიდან ისინი ოხრანკის კავშირში ირიცხებიანო". მისი განცხადება მხედველობაში არ იქნა მიღებული, ვინაიდან პატიმრებისათვის არ მიუციათ საშუალება გასცნობოდენ საბრალმდებლო მასალას, ამიტომ ისინი მოითხოვდენ პროცესის გადადებას ერთი დღის ვადით, მაგრამ სასამართლომ ესეც ვერა სცნო ყურადღების ღირსათ.

ყველა დაკითხულები აცხადებენ, რომ პოლიციელების მიერ ჩამორთმეული ჩვენება დამახინჯებულად იყო წარმოდგენილიო.



ბერლინის სადგურთან — მოედანზე, განთავისუბლებული პოლიტ-პატიმრების საპატივცემულო დემონსტრაცია.

რუმინეთი

საპატიმრო ჟილავა

როგორც იტყობინებიან პოლიტ-პატიმარი ბორის სტეფანოვი ისევ მძიმე პირობებში ყავს საპ. ადმინისტრაციას, რომელმაც ნება არ მისცა დამცველს ენახა სასაუბროთ ამხ. სტეფანოვი.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ ნება დართო ვექილს ენახა სტეფანოვი საქმის ვითარების გასაცნობად.

363(∾)(05)
ห 43.
640.

წელიწადი მეოთხე

№ 7

აგვისტო

∾ 1928 ∾

რიგაფლის

ᲠᲔᲛᲔᲓᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, ლენინის ქ.,
№ 29, II-რე სართ.

∾ ტელ. 9-78 ∾

ახალი ომის წინ

ყველა იმათ, ვინც ეკუთვნიან სწავლულთა და ინტელიგენტურ წრეებს და რაც მთავარია — ფართე საზოგადოებრივ ფენებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ უკანასკნელი საერთაშორისო კატასტროფის შემდეგ, რომლის დასასრულიდან დღემდის ჯერ კიდევ ცოცხლად შენახულან სისხლის ღვარით გადარეცხილი უთვალავი ნანგრევები, რომ შესაძლოა ასეთივე უბედურება ხელმეორედ თავს დაატყდეს კაცობრიობას.

საზოგადოებრივი აზრი სახტად რჩება, როცა მას ეუბნებიან: „ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲛᲘᲝ“. მიუხედავად მრავალი ცოცხალი ფაქტებისა, მას ვერ წარმოუდგენია ყველა ის გეგმები, რომლებსაც ადგენს და რომლის განხორციელებას ლამობს საერთაშორისო ბანდიტიზმი.

ეს არ არის თეორია, ფანტაზია, ან შიში, — არამედ ეს გახლავთ კონკრეტიული და ხელშესახები ფაქტი. უწინარეს ყოვლისა ჩვენ განცვიფრებაში მოვყევართ იმპერიალისტურ ქვეყნების საომარ სამზადისს, რომელიც ზღაპრულის სიჩქარით ვითარდება და ძლიერდება.

ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო ბიუჯეტი 1913 წელს უდრიდა 244 მილიონ დოლარს. ათი წლის შემდეგ ის შეიცავს 1 მილიარდ 422 მილიონს, — თითქმის შვიდჯერ მეტს. ამავე ხნის განმავლობაში საფრანგეთის სამხედრო ხარჯები 1 მილიარდ 807 მილიონ ფრანკიდან 5 მილიარდ 236 მილიონამდე გაიზარდა, ე. ი. გაიზარდა სამჯერ. ინგლისის სამხედრო ხარჯები გაორკეცდა, თუ წინეთ ის უდრიდა 88 მილიონ გირ. სტერლინგს, ეხლა 167 მილიონამდე აღწევს, იაპონიის სამხედრო ხარჯები კი, სამჯერ გაიზარდა (192 მილიონ იენს უდრიდა წინანდელი სამხედრო ხარჯები, უკანასკნელად კი, ის აღწევს 646 მილიონამდე).

საზღვაო-სამხედრო ძალა ზღაპრულად გაიზარდა. ინგლისს ჰყავს 363 სამხედრო გემი. ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰყავს 543, იაპონიას — 195, საფრანგეთს —240, იტალიას — 230.

აი, თუ რატომ ვეკიდებით ჩვენ უნდობლად ყოველგვარ დეკლარაციას მშვიდობიანობის შესახებ, რომლებსაც აქვეყნებენ სამხედრო სამზადისით გართული ძლიერი სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთ ოქროს უდიდეს ნაწილს ხარჯავენ ჯარისა და სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად, ზარბაზნების, ყუმბარების, ტყვიამფრქვეველების და სხვ. უფრო საშინელი და გამანადგურებელი იარაღების დასამზადებლად. მომავალ საერთაშორისო ქიმიურ ომისათვის იმდენი შესაძლებლობაა დაგროვილი სხვ. და სხვ. არსენალებსა და სამხედრო იარაღების საწყობებში, რომ შესაძლოა რამოდენიმე წუთში მთელი კაცობრიობის განადგურება.

ერთა ლიგა — ეს გახლავთ თეატრის ასპარეზი, სადაც გამუდმებით სწარმოებს ოფიციალური და პაციფისტური გამოსვლები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ხნის განმავლობაში იქ შეტანილი იყო მხოლოდ ერთი სერიოზული და ლოიალური წინადადება ხალხთა შორის მშვიდობიანობის სასარგებლოდ. ეს ლოღიკური წინადადება საერთაშორისო განიარაღების შესახებ, რომელიც ხუმრობათ მოეჩვენა ძლიერ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, შეიტანა საბჭოთა კავშირმა. ამ მჭერმეტყველ და საუკეთესო დიპლომატების კრებულს, რომლებიც შეთანხმებით ბჭობენ იმის შესახებ, თუ როგორი გეგმით უფრო მოსახერხებულია 1918 წლის გამარჯვებისა და მისი საშინელი შედეგების შენარჩუნება, რაც საუკუნოდ განამტკიცონ იმპერიალისტური წყობილება,—ხელმძღვანელობას უწევს დიდი ბრიტანეთი.

ინგლისის უდიდესი სურვილია, ჩირქი მოსცხოს ს. ს. რ. კ., მიიყვანოს ის სრულ კატასტროფამდე, მაგრამ დღემდის ეს ოცნებათ დარჩა. კელოგის მიერ ომიანობის „ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ“ გამოცხადება მიღებულ იქნა მისტერ ᲩᲔᲛᲑᲔᲠᲚᲔᲜᲘᲡ მიერ განსაზღვრული შენიშვნების თანდართვით, მომავალ ხელშეკრულებიდან ახალი რუსეთის გამოყოფის შესახებ. ინგლისი ხომ შეურიგებელ ომს აწარმოებს საბ. კავშ. წინააღმდეგ, ის უდიდეს ფინანსიურ დახმარებებს უწევდა ᲙᲝᲚᲩᲐᲙᲡ, ᲘᲣᲓᲔᲜᲘᲩᲡ, ᲓᲔᲜᲘ�კᲘᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲠᲐᲜ�გᲔᲚᲡ (50.000.000 გირ. სტერლინგი, რაც უდრის 500.000.000 მანეთს) სამოქალაქო ომს, რომელსაც ეს თეთრი ღენერლები აწარმოებდენ ძველ რუსეთის ტერიტორიაზე, მოჰყვა უთვალავი ძარცვა-გლეჯა და მკვლელობები, ასევე განმეორდა ინგლისის მიერ კავკასიის სამხედრო ოკუპაციის დროს.

ამის შემდეგ ინგლისმა ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობას უწევდა საბჭოთა წარმომადგენლებზე თავდასხმას. ინგლისმა გამოიყენა თავისი ფაშისტური ელემენტები პეკინში მყოფ საბჭოთა წარმომადგენლობაზე თავდასხმის დროს, შანჰაიში საბჭოთა საელჩოს წინააღმდეგ ბლოკა-

დის გამოცხდებაში, საბჭოთა დელეგაციის სახლის დარბევაში, საბჭოთა საიდუმლო შიფრის მოტაცების დროს ლონდონში, ინგლის-რუსეთის კოოპერატიულ კავშირზე— არკოსის შენობაში შეჭრის დროს, სერ გენრი დეტერდინგის მიერ წარმოებულ საზიზღარი ცილის წამების კამპანიაში.

ჯაშუშ რაელის მიერ წარმოდგენილი ჩვენებები, თეთრგვარდიელ ელვეგრენას საქმიანობა, ვოიკოვის მკვლელობა, ლენინგრადში 25 ჯაშუშის დაპატიმრება, რომლებიც აგროვებდენ საიდუმლო ცნობებს ბალტიის ზღვის სამხედრო ფლოტის მდგომარეობის შესახებ, ყველაფერი ინგლისის ოინებია, რომლითაც ის ლამობდა არევ-დარევის შეატნას საბჭოთა კავშირის მშვიდობიან ცხოვრებაში. ამასვე დაუმატეთ ბაქოს ნავთის სამრეწველო ადგილებში ცეცხლის გაჩენა — რომელიც სწარმოებდა ინგლისის, საფრანგეთისა და პოლონეთის საიდუმლო აგენტების შემწეობით.

ინგლისი არ კმაყოფილდება ამით, ის დღე და ღამე ცდილობს საბჭოთა კავშირის მოწინაალმდეგეთა ბანაკში დარაზმოს სხვა დანარჩენი ქვეყნები. ამ მხრივ მან უდიდეს შედეგებს მიაღწია. საფრანგეთის განწყობილება რუსეთისადმი, რომელიც დღემდის უჩინარი იყო, უკვე აშკარა გახდა. როგორც ეტყობა გერმანიამაც აიღო ორიენტაცია დასავლეთზე. მან მეტად უხეშ ფორმებში გასწყვიტა სავაჭრო ურთიერთობა ს. ს. რ. კავშირთან, რომლისთვისაც მოიმიზეზა დონბასის პროცესის დროს რამდენიმე გერმანელის გასამართლება.

ახლო წარსულში, ინგლისის პრესის ერთ-ერთმა უხუცესმა ქურუმმა ლორდ ბირკენხედმა ინახულა შტრეზემანი, რათა უფრო გაეძლიერებინა უკანასკნელში საბჭოებისადმი მტრობა და სიძულვილი. ინგლისი თავის კაციჭამია დიპლომატიით საბჭოთა კავშირის ირგვლივ თავს უყრის საბჭოების მოსისხლე ქვეყნებს. იაპონელების აგრესიული პოლიტიკა ძალიან შეეხამება ინგლისის ინტერესებს. ინგლისი ამავე დროს ცდილობს სპარსეთისა და ავღანისატნის მიმხრობას.

ამიტომ საკვირველი არაა თუ ავსტრიაც არ ჩამოუვარდება სხვებს და სისტემაიტურად აწარმოებს თავის ქვეყნიდან ყველა პოლიტ-ემიგრანტების გაძევებას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბელა კუნის გაძევების დროს.

საბჭოთა კავშირზე თავდასხმა ეს საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობაზე დავდასხმაა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფოები რაღაც არაჩვეულებრივ თავდასხმას ამზადებენ. ამ მთავრობების მიზანია გაატარონ მთელი რიგი განსაკუთრებული ზომები რევოლიუციონურ ინტერნაციონალისტების წინააღმდეგ, გამოაცხადონ ისინი კანონს გარეშე და ქვეყნის ყველა კუთხეში მოუსპონ თავშესაფარი. ამავე დროს ისინი იმუშავებენ ისეთ გეგმებს, რომლითაც აღვილია მუშათა კლასის სრულიად დამონავება, ისინი ცდილობენ მუშებს წაართვან 8 საათის სამუშაო დღე, გაფიცვების საშუალება და პროფესიონალური უფლებები.

მე არ ვამბობ ფაშიზმის გეგმაშეწონილად განვითარების შესახებ. მე არ ვამბობ არც შეუწყვეტელ ცილისწამებისა და წასისიანების კამპანიების შესახებ.

ევროპიულ გაზეთების ფურცლებზე ჩვენ ვკითხულობთ ისეთ ფაქტებს, რომლებიც არ შეიძლება ჩავთვალოთ რომელიმე ჟურნალისტის ფანტაზიის ნაყოფად: არსებობს დღევანდელ ს. ს. რ. კ. გაყოფის დაწვრილებითი გეგმა. ს. ს. რ. კ. ეკონომიურ ბლოკადის დროს — ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია შექმნიან „გადახალისების სინდიკატს“, რომელიც ყოფილი რუსეთის ბურჟუაზიული მთავრობის განკარგულებაში მოექცევა. მთი აზრით ამ მთავრობამ უნდა შესცვალოს საბჭოები.

ახალ რუსეთის წინააღმდეგ ომის გაჩაღება ეხლა საძნელო არ არის, ეს შეუძლია გამოიწვიოს უბრალო ინცინდენტმა. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ასეთის გამონახვა, შემდეგ მისი გადაცემა პრესის განკარგულებაში და საქმე გაიჩარხება.

ასეთ მდგომარეობაში შეუძლებელია რაიმე იმედის დამყარება, დემოკრატიულ და რეფორმისტულ პარტიებზე ვინაიდან ისინი მთელი თავიანთი ძალებით გადაბარგდენ მუშათა და გლეხთა მოსისხლე მტრების ბანაკში. მუშათა კლასმა თვით უნდა აიღოს თავის თავზე ამ საკითხის მოგვარება და სოციალისტური სამშობლოს მფარველობა.

გასულ წლის მიწურულში, როცა ჩვენ დავბრუნდით საბჭოთა კავშირიდან, ჩვენ გავაცანით დასავლეთის მუშათა და გლეხთა მასებს ყველა ის საკვირველი მიღწევები, რაც სისრულეში მოიყვანა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა ამ 10 წ. განმავლობაში და რაც უდიდესი ენტუზიაზმით უნდა აღინიშნოს რევოლიუციონურ მუშათა კლასის ისტორიაში. ჩვენს მიერ ამ მიღწევების შესახებ ნაამბობს მსმენელები აღტაცებაში მოჰყავდა. დროა ეს სიხარული გამოისახოს არა ტაშის ცემისა და ინტერნაციონალის სიმღერაში მარტო, არამედ დროა მთელი ექსპლოატაციაქმნილი კაცობრიობა შეუდგეს გამანთავისუფლებელ მოძრაობის დიად მიზნების პრაქტიკულად განხორციელებას.

ჰანრი ბარბიუსს.

მზადება ომიანობისათვის

თუ კი გსურს ემზადო ომისათვის, უნდა მოიკრიბო მთელი ძალ-ღონე და საქმეყნოდ იყვირო მშვიდობიანობის სასარგებლოთ: — აი ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულიარული აღთქმა კაპიტალისტური დიპლომატიისა. განსაკუთრებით უკანასკნელი წლები ხასიათდება „სამშვიდობო განიარაღების“ საკითხის ირგვლივ ლაყბობით, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა ქვეყნის იმპერიალისტებმა. ხშირად იწვევენ კონფერენციებს განიარაღების საკითხის მოსაგვარებლად, მართავენ სხდომებს სათანადო კომისიები და ქვეკომისიები, წამოყენებული იყო სერია სამშვიდობო ხელშეკრულებათა, იმუშავებდენ მთელ რიგ პროექტებს ომის ასაკრძალავად. იმუშავებდენ ამავე დროს სამედიატორო სასამართლოს გეგმებს, სხვადასხვა საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტების მოსაგვარებლად, — ერთი სიტყვით დაღლილსა და სისხლისაგან დაცლილს კაცობრიობას ხელმეორედ სთავაზებდენ ომის ახალ საშიშროებას, რომელიც საბოლოო განადგურებით ემუქრება მთელი ქვეყნის ტვითრმძიმეთ.

ამ პაციფისტურ დაუსრულებელ სიტყვათა კორიანტელში მილიტარისტები აჭახრაკებდენ თავიანთ პირად საქმეებს. მათ საქმიანობას ახასიათებდა კარგად შეიარაღება ხმელეთზე, წყალლე, წყალქვეშა და ჰაერზე. არასოდეს კაცობრიობას არ დაუხარჯნია იმდენი ენერგია შეიარაღებისათვის, რადენიც ამ ბოლო წლების განმავლობაში. საკმარისია მოვიყვანოთ ცნობები მარტო 1927 წლის განმავლობაში ჩატარებული შეიარაღების შესახებ, და შევადაროთ ის 1913 წლისას, რათა დავრწმუნდეთ თუ რამდენად წინ მიიწევს ახალი საერთაშორისო ომისთვის მოსამზადებელი მუშაობა.

1913 წელს ხმელეთის სამხედრო ძალა აღწევდა საფრანგეთში — 546.000 ჯარის კაცს, ხოლო 1927 წელს-კი — 6637.000. ინგლისში ამავე წლებში ირიცხებოდა 441.000 და 556.000. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯარის რაოდენობის ზრდა გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით სწარმოებდა. 1913 წელს იქ ირიცხებოდა 226.000 ჯარის კაცი, ხოლო 1927 წლისათვის ეს რაოდენობა გაიზარდა — 418.000.

გულუბრყვილობა იქნებოდა მარტო ამ ცნობაზე დაყრდნობით, კაპიტალისტურ ქვეყნების მილიტარიზმის ზრდის გამორკვევა. აქვე საჭიროა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჯარის შემადგენლობის ამ უჩვეულო ზრდასთან ერთად სამხედრო ნაწილებში თვალსაჩინოდ გააიზარდა აგრეთვე, როგორც ტეხნიკური, ცეცხლის მსროლელი, ისე ავტომატიური საომარი მძიმე იარაღების რაოდენობა.

ომის წინა პერიოდში ყოველ ქვეითა დივიზიას ჰქონდა 30 ტყვიამფრქვეველი, ეხლა კი საფრანგეთის ჯარების დივიზიაში 483 ტყვიამფრქვეველზე მეტია, ამერიკის ჯარის ნაწილებში-კი — 1.000-მდე აღწევს.

1914 წლის იმპერიალისტური ომის დასაწყისმა არც კი იცოდა „ტანკების“ არსებობა, უკანასკნელ ხანებში საფრანგეთის ჯარის განკარგულებაში არის 2.000 მეტი „ტანკა“, ინგლისის ჯარებისათვის დამზადებულია 2.210, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯარებს აქვს 650 ცალი ტანკა.

უკანასკნელ წლების განმავლობაში განსაკუთრებულ ტემპით ვითარდებოდა სამხედრო ავიაცია, რომელსაც სამხედრო ქიმიასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მომავალ ომის დროს. 1914 წელს საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში და იაპონიაში სულ ირიცხებოდა 150 სამხედრო თვითმფრინავი. 1923 წელს სამხედრო თვითმფრინავების რაოდენობა ამავე ქვეყნებში უდრიდა 2.723, ხოლო 1927 წლის განმავლობაში-კი — 4.730. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რამდენად გაუმჯობესებულია დღევანდელი სამხედრო თვითმფრინავი იმ თვითმფრინავებთან შედარებით, რომლითაც ამ 15 წლის უკან ამაყობდენ იმპერიალისტურ ქვეყნების ჯარები.

სამხედრო ქიმია, ე. ი. მოსაწამლავი ნივთიერების გამოყენება ომის მიზნებისათვის, ეკუთვნის განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდს. შხამიანი გაზები, რომელიც პირველად გამოყენებული იქნა უკანასკნელად ფრანგებსა და გერმანელებს შორის ომის დროს, წარმოადგენს რაღაც მარტოოდენ თავის გასართობს შედარებით იმ შხამიან გაზებთან, რომლითაც აღჭურვილია თანამედროვე ბურჟუაზიულ ქვეყნების მხედრობა. უკანასკნელ ხანებში ბურჟუაზიული სახელმწიფოები აუარებელ მილიონებს ხარჯავენ სამხედრო ქიმიის გასაუმჯობესებლად. ამერიკაში კი არსებობს მთელი ქალაქი — ედევუდის არსენალის სახელწოდებით, საცა მოთავსებულია უამრავი დაწესებულებები, რომლებიც იკვლევენ და ამზადებენ მომწავლელ ნივთიერებებს საომარი მიზნებისათვის.

აღნიშნულ საომარ საშუალებებს საჭიროა დაუმატოთ კიდევ ბაქტერიოლოგიის გამოყენება ომის დროს. ჩვეულებრივ ყუმბარებსა და საწამლავ გაზებთან ერთად მტრის ჯარის მიერ ნაწილებსა და მოსახლეობაში ეპიდემიურ



ავადმყოფობის გასავრცელებლად ჩამოყრილი იქნება სხვადასხვა მიკრობებით სავსე ყუმბარები.

საკითხავია, ვისთვის ამზადებენ იმპერიალისტები ამ მომაკვდინებელ საომარ საშუალებებს? რისთვის აიარაღებენ ისინი თავიანთ მილიონიან ჯარებს? რა მიზნით ამუშავებენ ისინი მრავალ ათასს ინჟენრებს, ტეხნიკოსებს და გამოჩენილ სწავლულთ, რათა გამოიგონონ კაცობრიობის გამანადგურებელი საომარი ღონისძიებები? რასაკვირველია, კაცობრიობის იმ უდიდესი მშრომელი ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც იბრძვის თავის განთავისუფლებისათვის.

თვით იმპერიალიზმის სისტემა წარმოადგენს გამუდმებულ კონფლიქტების წყაროს, მას კაცობრიობა მიჰყავს ახალ ბაზრების დასაპყრობათ, წარმოებულ ბრძოლისაკენ, ნედლეულის ბაზრის გასაფართოებლად და ქვეყნიერების ახალ-ახალ უჩვეულო გარდატეხების მოსახდენათ. ზოგი ერთი იმპერიალისტური სახელმწიფოები არც-კი მალავენ თავიანთ ლტოლვას. მაგალითად, ამერიკელი ადმირალი ჩარლზ პლენკეტ სამხედრო ფლოტის ასაშენებლად გამართულ წინასწარ თათბირის დროს საკმაოდ მიამიტად ახასიათებდა ამერიკის იმპერიალიზმის საომარ გეგმებს. პლენკეტმა შემდეგი განაცხადა: „ჩვენ დღეს გაცილებით უფრო ახლო ვდგევართ, ვინემ ოდესმე, ახალი ომის საფრთხესთან, ვინაიდან ჩვენ ვაწარმოებთ სავაჭრო პოლიტიკის შეჯიბრს და უკანა რიგებში გვსურს მოვაქციოთ სხვა დანარჩენი ეროვნებები. ასეთი პოლიტიკის წარმოება აუცილებლად მიგვიყვანს საერთაშორისო ომის გამოცხადებამდე“.

ცალკე იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის თანისთან გაძლიერებულ წინააღმდეგობასთან ერთად, უფრო მწვავდება დამოუკიდებლობა იმპერიალისტურ სისტემასა და საბჭოთა კავშირს შორის. სოციალისტური აღმშენებლობის გაღრმავება ს. ს. რ. კ. და მისი გავლენის გაძლიერება საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობასა და კოლონიალურ ქვეყნების დაბეჩავებულ მუშათა კლასზე იძულებულს ხდის იმპერიალისტებს სასწრაფოდ შეუდგენ ახალ ომის სამზადისს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მიუხედავათ ჩვენს წინააღმდეგ მომართული ომის საშიშროებისა, მიუხედავათ იმისა, რომ კაპიტალისტური ქვეყნები დღითი-დღე უფრო და უფრო ემზადებიან ჩვენს წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად, ჩვენ მაინც გაძლიერებული ტემპით კვლავინდებურად უნდა ვაწარმოოთ ჩვენი სოციალისტური რესპებლიკების აღმშენებლობა. უნდა გვახსოვდეს, თუ იმპერიალისტებმა გაბედეს ჩვენი საზღვრების გადმოლახვა, ჩვენში სოციალისტური სამშობლოს ერთგულ დამცველ წითელ ჯარებს გამოესარჩლებიან მტრის ჯარების უკან დარჩენილი რევოლიუციონური მუშათა კლასი და დაბეჩავებული გლეხკაცობა, რომლებიც შესძლებენ ქედი მოუხარონ იმპერიალისტურ მეკობრეებს, რათა მათ სამუდამოთ დაუკარგონ მადა სხვისი ოფლით მონაგარის მითვისებისა და მილიონ მშრომელ მასების დამონავება-დაბეჩავებისა.

ი. სერგეევი.

საბერძნეთი უკანასკნელ დღეებში

საერთაშორისო ომის შემდეგ საბერძნეთს ხელში შერჩა განადგურებული და გაპარტახებული მეურნეობა, ათასობით მოკლულ-დაჭრილები, ინვალიდები 1½ მილ. მეტი ლტოლვილები მცირე აზიის სხვადასხვა ქვეყნებში და რაც მთავარია, უდიდესი სამხედრო დავალიანება გამარჯვებულ ძლიერ სახელმწიფოთა წინაშე.



წითელ ფრონტელების დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად ბერლინში ჩამოსული შვეიცარელი ამხანაგები.

უკანასკნელად სახელმწიფო მმართველობის მესაჭეობა ხელთ უპყრია პარტიათა კოალიციას, რომელშიაც შედიან — კონსერვატორები, ვენიზელისტები და ყოფილი გენერლის — მატაკსას ნაციონალური პარტიის წარმომადგენლები. მათი რეჟიმი არის პირწავარდნილი — ფინანსიურ-სავაჭრო კაპიტალის და მსხვილ მიწის მფლობელთა რეჟიმი.

მთავრობა ყურმოჭრილი მონაა ფაშისტური იტალიისა და განსაკუთრებით-კი ინგლისის იმპერალიზმის. ამ უკანასკნელისათვის საბერძნეთი წარმოადგენს უდიდეს და უსაზიზღრეს ექსპლოატაციის გასაშლელ ასპარეზს.

რა გასაკვირია თუ ასეთ მძიმე პირობებში საბერძნეთის მშრომელი მოსახლეობა სულს ღაფავს რეაქციონურ ნაძირალების მიერ ხელოვნურად შექმნილ რეჟიმის კლანჭებში.

უმუშევრობა, პირველ მოთხოვნილების საგნებზე საშინელი სპეკულიაცია, აუტანელი გადასახადები — აი, რა ახასიათებს თანამედროვე საბერძნეთის მშრომელთა ყოფა-ცხოვრებას.

1927 წ. მიწურულში დაიწყო მშრომელთა მასიური შეტევა კაპიტალის წინააღმდეგ. ლოკაუტსა და შრომის პირობების გაუარესებას მეთამბაქოებმა უპასუხეს ქარხნების დაკავებით: კაბალეში, დრამასა და სალონიკში.

მიმდინარე წლის იანვარში იარაღით გამოსული გლეხობა მთავრობისაგან მოითხოვდა აუტანელ გადასახადების სრულიად მოსპობას.

ამბოხებულთა წინააღმდეგ ხელისუფლებამ დასძრა ჯარის ნაწილები, რომლებმაც დაარბიეს აჯანყებულ გლეხთა მასები. შეიპყრეს გლეხთა აჯანყების მთელი რიგი მეთაურები, ამავე დროს ბევრ რაიონებში ადგილი ჰქონდა სისხლიან შეტაკებებსაც.

მშიერ და გაძვალტყავებულ მასების კანონიერ მოთხოვნილებებს საბერძნეთის მთავრობამ მკაცრი რეპრესიებით უპასუხა.

უკანასკნელ ხანებში მუშათა და გლეხთა მოძრაობის 200-ზე მეტი თვალსაჩინო წარმომადგენელი ყავს გამოკეტილი ხელისუფლებას საპყრობილეების ბნელ ჯურღმულებში, 200-ზე მეტი-კი გადასახლებულია ჰეგეის კუნძულებზე, ამავე დროს 250 კაცი გადახიზნულია მთებში და ბარში მთავრობის ოხრანკელების შიშით.

მთავრობა სრულიად ანადგურებს ყოველგვარ რევოლიუციონურ გამანთავისუფლებელ მოძრაობას. მიმდინარე წლის დასაწყისიდან პროფესიონალურ კავშირების ორგანოების მოღვაწეობაზე დაწესებულია მთავრობის მკაცრი კონტროლი, რასაც ხშირად შედეგათ მოსდევს ხოლმე პროფესიონალურ მოძრაობის გამოჩენილ ხელმძღვანელთა შეპყრობა, რომლებსაც ბრალდებათ უყენებენ სახელმწიფოებრივ ღალატს. ახლო წარსულში სასამართლოს წესით სრულიად გაანადგურეს ქ. ვოლოსას მუშათა ბირჟა, რომელიც აერთიანებდა ათი ათასს მშრომელთ. დარბეულია აგრეთვე ასეთივე ორგანიზაციები ქ. კავალასა და დრამაში, რომელიც თავის გარშემო აერთიანებდა 15 ათასზე მეტ მუშა მეთამბაქოებს.

რევოლიუციონურ მოძრაობის სისტემატიურად დევანასა და განადგურებას დიდ წინაღმდეგობას უწევს მშრომელი მასა. მთელ რიგ ქალაქებში იმართებოდა მრავალრიცხოვანი კრებები, მიტინგები და დემონსტრაციები მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. მიმდინარე წლის აპრილიდან პროფესიონალურ კავშირის ყველა ორგანიზაციებმა თავიანთი უფლებების დასაცავად მიმართეს საერთო გაფიცვებს, და მართლაც ივნისის 12-ს გამოცხადდა ძლიერი გაფიცვა ქ. კავალში, დემონსტრციაში მონაწილეობას იღებდა 10.000-ზე მეტი მუშა-მეთამბაქოები, რომლებმაც წამოაყენეს კავშირის მიერ შემუშავებული მოთხოვნილები. ადგილი არ ჰქონია არსად გაფიცულ რაიონებში შტრეიკბეხერების გამოსვლას. ამავე დღეს გაიფიცენ ქ. პრავიოს მუშა-მეთამბაქოები. ორივე ქალაქში მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაცია სისხლის მორევში ჩაახრჩო შეიარაღებულმა პოლიციამ. გაფიცული დემონსტრაცია იძულებული გახდა თავდაცვა ეწარმოებია სანგრევების საშუალებით. ორი დღის შემდეგ მათ მიემხრო საბერძნეთის ყველა მუშა-მეთამბაქოები, ცოტა ხნის შემდეგ-კი რკინის-გზელები და სხვა დანარჩენი მუშები. ამრიგად ივნისის 22-დან დაიწყო სრულიად საბერძნეთის მუშათა გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 150.000 მუშამ. მთელს მხარეში ხელისუფლებამ გამოაცხადა სამხედრო-საალყო წესები. ქ. კავალასა და პრავიოს გარდა ქ. სერეს, პირეესა და სალონიკის ქუჩებშიაც ათასობით და ათი ათასობით ეყარენ დახოცილი დემონსტრანტები.

საბერძნეთის მუშათა კლასი იბრძვის თავის პირობების გასაუმჯობესებლად, თავისი ორგანიზაციების ლეგალიზაციისათვის, რომელსაც ხელისუფლება ემუქრება დაშლით, ის იბრძვის ამავე დროს პოლიტპატიმართა ამნისტიისათვის, სასტიკად ეწინააღმდეგება მთელს მხარეში წარმოებულ ტეროროს და ყოველდღიურობაში უკვე დაკანონებულს განსაკუთრებულ წესებს, რომელიც მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასის წინააღმდეგ.

ბურჟუაზიას ფეხდაფეხ მისდევენ ფაშისტური ორგანიზაციები და აქტიურ დახმარებას უწევენ მას. ამრიგად მაკედონიასა და ფრაკიაში ძლიერად მოქმედობს ე. წ. „ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი მ უ შ ტ ი“. ბურჟუაზიული ახალგაზრდობა თავს იყრის სხვადასხვა ორგანიზაციებში და მთელი თავისი შესაძლებლობით ენერგიულად იბრძვის ყოველგვარ ანტიბურჟუაზიული მოძრაობის წინააღმდეგ. ასეთივე ხასიათი აქვს მსხვილ მესაკუთრეთა კავშირს. „ო ფ ი ც ე რ თ ა ლ ი გ ა მ ა ც“ თავისი ერთგულება და სამსახური შესთავაზა ხელისუფლებას და შეჰპირდა, მას რომ ის ყოველგვარ ღონისძიებით შეეცდება კომუნისტების განადგურებას. უკანასკნელ ხანებში იტალიის ფაშისტური ორგანიზაციების მიხედვით საბერძნეთშიაც ჩამოყალიბებულია მებრძოლი ფაშისტური ორგანიზაცია.

საბერძნეთის ბურჟუაზიამ შეიტანა თავის კანონმდებლობაში მთელი რიგი ახალი ღონისძიებებისა მოსალოდნელ რევოლიუციონურ მოძრაობათა ასალაგმავად. ამრიგად პოლიციასა და ჯარის ნაწილებს სრული უფლება აქვთ ესროლონ დემონსტრაციის მონაწილეებს. კანონმდებლობაში შეტანილია მუხლი, რომელიც უკრძალავს სახელმწიფო მოსამსახურეებს და მოხელეებს გაფიცვას, მათ ემუქრებიან სამსახურიდან დათხოვნითა და პენსიის შეწყვეტით. წამოყენებულია კანონ-პროექტი, რომელიც სჯის პიროვნებას თავისი რევოლიუციონური მრწამსის გამო 5 წლამდე ციხეში დაპატიმრებით, ამავე დროს დამნაშავეს, აღნიშნულ ვადის გათავების შემდეგ ასახლებენ შორეულ კუნძულზე. მზადდება პროფკავშირების კანონთა გადახალისება, რომელიც განსაზღვრავს უკანასკნელის მოღვაწეობას; მას მიზნათ დასახული აქვს პროფესიონალურ ორგანიზაციების დაშლა.

მიუხედავათ ყოველივე ამისა საბერძნეთის მუშათა კლასი იბრძვის საბოლოო გამარჯვების მოსაპოებლად. მის მხარეზეა მთელი საბერძნეთის დამცირებული-დამონავებული მოსახლეობის სიყვარული და თანაგრძნობა. ეჭვს გარეშეა, ისინი გაიმარჯვებენ.

ი. ნიკოლაევი.

თომა მუნეის საქმე

სან-ფრანცისკოს ქალაქთა რკინის გზები უხსოვარ დროიდან არის ორი უფროსის განკარგულებაში. ნაწილი ეკუთვნის მუნციპალიტეტს, რამდენიმე დანარჩენი-კი—ტრამვაის კერძო კომპანიას. მუნციპალიტეტთან სამსახურის პირობები ყოველთვის გაცილებით უკეთესი იყო, ვინემ ტრამვაის კომპანიასთან, რომელიც განთქმულია

ამხ. თომა მუნეი
დაპატიმრების პირველ დღეებში.

უსაზიზღრესი ექსპლოატაციით. მუშა-მოსამსახურეები არა ერთხელ შეეცადენ გაფიცულიყვენ, რათა გაეუმჯობესებიათ თავიანთი შრომის პირობები, მაგრამ პროფესიონალური ორგანიზაციები, რომლებიც მოღვაწეობენ ბურჟუაზიის აგენტების ხელმძღვანელობით, ყოველთვის ხელს უშლიდენ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას, ისინი პირდებოდენ მუშებს ცხოვრებაში მშვიდობიანის გზით გატარებას ყველა იმ მოქმედებისას, რომლებსაც კი წამოაყენებდენ.

პროფესიონალურ მოძრაობის ბელადების ასეთი საქციელი, საბაბს აძლევდა ტრამვაის კომპანიას სისტემატიურად გაედიდებია სამუშაო დღე და საგრძნობლად შეემცირებია ხელფასის რაოდენობა. მუშათა მასებში დაიწყო უკმაყოფილება, რომელიც შესაძლო იყო გადაქცეულიყო მძლავრ გაფიცვებად. ამ მოვლენამ განსაკუთრებით თავი იჩინა 1916 წ.

პროფესიონალური მოძრაობის ბელადები წინასწარ შეუთანხმდენ ადმინისტრაციას, გადასწყვიტეს ნება დაერთოთ მუშებისათვის ემოქმედნათ, იმ განზრახვით რომ ისინი დარწმუნებულნი იყვნენ ეს მოძრაობა ჩაიშლებოდა, რადგანაც მუშებს არ ყავდათ მომზადებული ხელმძღვანელი.

მათ ანგარიში შეეშალათ. დაავიწყდათ ერთი გარემოება, როცა იფეთქებს ხოლმე მასიური მღელვარება, ის ყოველთვის წამოისვრის თავის წიაღიდან გამოცდილ ხელმძღვანელს. ასეც მოხდა! აღნიშნულმა მოძრაობამ წამოაყენა თავისი ბელადი მრეწველობის მეორე დარგიდან. მოძრაობას ხელმძღვანელად ჩაუდგა, აქტიური და ენერგიული პროლეტარი, მელითონე — თ ო მ ა მ უ ნ ე ი.

ეს ამბავი მოხდა საერთაშორისო ომის დროს, მისი შედეგებით, როგორც ვიცით მეტად დაინტერესებულნი იყვნენ ამერიკის, „ოქროს მეფეები", რომლებიც ხელს უწყობდენ ინგლისსა და მის მოკავშირეებს აურაცხელი თანხებით. პრეზიდენტი ვ ი ლ ს ო ნ ი ფარულად ხელს უწყობდა ამერიკის მხედრობასა და კაპიტალისტებს, რათა მათ უშუალო მონაწილეობა მიეღოთ მსოფლიო ომში. პრესის, კინოს, ქუჩებში გამოსვლის და სხვა პროპაგანდისტურ მეთოდების საშუალებით ეხმარებოდა ის მათთვის ხელსაყრელ საზოგადოებრივ აზრის ჩამოსაყალიბებლად: ერთ-ერთ ასეთ მეთოდათ შეიძლება დავასახელოთ სპეციალური ეროვნული მანიფესტაციების მოწყობა.

1916 წლის ივლისის 22-ს, მსგავსი მანიფესტაცია მოეწყო სან-ფრანცისკოში, ფერი ბილდინკთან; როცა მანიფესტაციამ ჩაიარა მარკეტ-სტრიტის მახლობლად ზღვა ხალხში გადაისროლეს ყუმბარები, რომლის შემდეგ ქუჩა გაივსო დაჭრილ-დახოცილებით.

არავის არ უნახავს, თუ ვინ გადმოისროლა ყუმბარები. მაშინ ტრამვაის კომპანიამ თავის აგენტების საშუალებით გაავრცელა ხმები, თითქოს აფეთქება მოეწყოს თ ო მ ა მ უ ნ ე ი ს. დაუწყეს მას ძებნა, მაგრამ გამოირკვა, როცა ეს ამბები დატრიალდა მ უ ნ ე ი იმყოფებოდა სან-ფრანცისკოდან ოთხი საათის განმავლობაში მატარებლით სამოგზაურო მანძილზე. მიუხედავათ იმისა რომ აფეთქების მომენტში შეუძლებელი იყო მისი ქალაქში ყოფნა, ის მაინც დააპატიმრეს და შეიარაღებული მცველების თანხლებით მოიყვანეს სან-ფრანცისკოში, სადაც ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ ის წარსდგა სასამართლოს სამსჯავროს წინაშე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდენ თვით აღნიშნულ კომპანიის მომხრეები. სასამართლოს მიერ მხედველობაში არ ყოფილა მიღებული მოწმეთა ჩვენება, რომლითაც მტკიცდებოდა მ უ ნ ე ი ს სიმართლე, მოწმეებს ემუქრებოდენ დაპატიმრებით. მიუხედავათ ყოველგვარი მოლოდინისა, აქ საქმეს სულ სხვაგვარი მსვლელობა მიეცა, მაგალითად: დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი პროკურატურის მოწმეთა ჩვენება, რომელსაც იძლეოდენ პოლიციის აგენტები და პროვოკატორები. ბურჟვაზიულმა სასამართლომ განსაკუთრებული კამპანია მოაწყო მუნეის წინააღმდეგ, რომელიც დამთავრდა სასტიკი განაჩენის გამოტანით.

ამერიკის ბურჟვაზია მოუთმენლად მოელოდა იმ წუთებს, როცა თ ო მ ა მ უ ნ ე ი ს სახრჩობელაზე გაიყვანდენ, მაგრამ სასამართლოს პროცესმა პროტესტები გამოიწვია მთელი ქვეყნის მუშათა მასებში, რამაც სასამართლოს ხელი ააღებინა მ უ ნ ე ი ს სიკვდილით დასჯაზე.



ამხ. თომა მუნეი
საპყრობილეში ყოფნის 12 წლის შემდეგ

მას მიუსაჯეს საუკუნოთ დაპატიმრება სენ-კენტენის საპყრობილეში.

მიუხედავათ იმისა, რომ მას შემდეგ არ შეწყვეტილა თომა მუნეის საქმის გარშემო საერთაშორისო მუშათა კლასის პროტესტები ის დღემდის ციხეში ზის. ამავე საქმის გამო გაასამართლეს — ურენო ბილინგსო. შრომის საერთაშორისო დაცვა დაუღალავ და ენერგიულ

ბრძოლას აწარმოებს ორივე უდანაშაულოდ დასჯილი ამხანაგების გასანთავისუფლებლად. მის მიერ აღმოჩენილია მრავალი თვალსაჩინო საბუთები, რომლითაც მტკიცდება, რომ თ ო მ ა მ უ ნ ე ი ს ა და ბ ი ლ ი ნ გ ს ს არავითარი კავშირი არ ჰქონიათ ივლისის 22-ის ამბებთან. ვილაც ს პ ი ნ კ მ ა, ჩიკაგოს ერთ-ერთს სპორტიულ გაზეთის თანამშრომელმა, მოწმეების დასწრებით განაცხადა, რომ აფეთქების დღეს მისი ცოლი, ტომით გერმანელი, ორი მისი თანამემამულის მიერ გაფრთხილებული იყო, რომ მანიფესტაციის დროს ქუჩაში არ გამოსულიყო, რათა მოსალოდნელ საფრთხისათვის თავი დაეხწია. ცოტა ხნის შემდეგ ორივე ისინი შეიპყრეს. ისინი აღმოჩნდენ გერმანიის გენერალურ შტაბის აგენტები. ეს ცნობები მიღებულია ჩიკაგოს პროფესიონალურ კავშირის საბჭოდან, რის შემდეგ ხელისუფლებას კატეგორიულად მოეთხოვა ამხანაგ მ უ ნ ე ი ს და ბ ი ლ ი ნ გ ს ი ს დაუყონებლივ განთავისუფლება ამერიკის ფაშისტების ბრჭყალებისაგან.

საერთაშორისო პროლეტარიატმა ამ სისხლის მსმელ ვიგინდარებს ხელიდან უნდა გამოაცალოს ეს ორი უდანაშაულო მსხვერპლი.

ა. ოვერიმი.

ლ ა ტ ვ ი ი ს ს ა პ ყ რ ო ბ ი ლ ე შ ი

(ჩვენი სპეციალური კორესპოდენტისაგან).

ამას წინად პრესაში გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი ცნობა იმის შესახებ, რომ საპყრობილის საექიმო ინსპექცია ვერ სდგას სათანადო ჰიგიენურ-სანიტარულ სიმაღლეზე; ავადმყოფ პოლიტ-პატიმრებს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება და სხვა. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აღნიშნული ფაქტი არც ისე დიდი ცოდვაა, რომ ასეთ დეფექტებს ყოველთვის შეიძლება ადგილი ჰქონდეს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ასე არ არის.

საპატიმრო სავსეა პატიმრებით. 260 კუბ. მოცულობის საკანში 26 პატიმარია გამომწყვდეული. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება: ავადმყოფები არასოდეს არ გაჰყავთ საკნიდან, ისინი წევანან ჯანმრთელებთან, ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ავადმყოფთა დიდი უმრავლესობა საშინელი სენით — სიფილისითაა დაავადებული. ეს სენი ედება ჯანმრთელებსაც.

უნდა ითქვას, რომ საექიმო დახმარება თითქმის აღარ არის. საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ 1919 წ. თითქმის მთელი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მოუხდენიათ პატიმართა ჯანმრთელობის გამოკვლევა.

დიაგნოზის გამოსარკვევი საშუალებათა უქონლობის გამო, ხშირად სამწუხარო შედეგებს ჰქონდა ადგილი, მაგალითად: სრულიად ჯანსაღებს აძლევდენ სიფილისის საწინააღმდეგო წამალს.

ტანისამოსსა და საწოლ-ქვეშაგებულზე აქ ლაპარაკი ზედმეტია. პატიმარს არ ეძლევა პალტო. ზამთრობით, სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ პატიმრები დიდი ხნით იცდიან ეზოში მსუბუქ ტანისამოსში, სანამ არ მოვა გამჩხრეკი, მხოლოდ გაჩხრეკის შემდეგ შეუძლიათ საკნებში შესვლა. ასე ხდება გასეირნების შემდეგაც.

თუ კი, შემთხვევით, ავადმყოფი გადაიყვანეს საავადმყოფოში, მის წვირიან საცვლებს, ტანისამოსს და საწოლს აძლევენ ახლად შემოსულ პატიმარს.

პატიმრებისადმი მოპყრობა ყოველგვარ კრიტიკის გარეშე სდგას. უმნიშვნელო „შ ე ც დ ო მ ე ბ ი ს" გამო ცალკე საკანში აგდებენ მას. ასეთ პირობებში სრულიად უპატრონოდ გდია ის მთელი კვირაობით; ამ ხნის განმავლობაში პატიმარს უფლება არ ეძლევა ხელ-პირის დაბანის. ცალკე საკანში დამწყვდეულს ეძლევა მხოლოდ 400 გრამი შავი პური და ერთი „ლიტრი" ყავა.

ასეთია ჩვენი სატახტო ქალაქის საპატიმროში პოლიტპატიმართა ცხოვრების პირობები.

მაგალითად დვანის რაიონში ფაბრიკაში 150-200 პასე, მაგალითად დვანის რაიონში ფაბრიკაში 150-200 პატიმარს არ ჰყავს არც ფერშალი, არც არავითარ საექიმო დახმარებას ღებულობენ. მიუხედავათ იმისა, რომ აქ ბევრ უბედურ შემთხვევებს აქვს ადგილი პატიმართა საექიმო დახმარებაზე ჯერ არავის უფიქრია. დაავადებულ პატიმრებს, რომლებსაც მუშაობის უნარი დაკარგული აქვთ, აგდებენ ცალკე საკანში.

მე მინდა შევჩერდე განსაკუთრებით ერთ ამხანაგის ბედზე — ეს არის მ ი ლ დ ა ს მ ე ტ ი ს ი. მე ამას იმიტომ კი არ მინდა მივაქციო ყურადღება, რომ მისი ბედი თითქოს უჩვეულო რამ იყოს აქაურ პატიმრებისათვის. ასეთები მრავლად მოიპოვებიან აქ, ბურჟუაზიულ ნაძირალების სამფლობელოში.

ა მ ხ. მ ი ლ დ ა ს მ ე ტ ი ს ი
ციხის საავადმყოფოში.

ამხ. მილდა სმეტისი დააპატიმრეს 1925 წ. ზაფხულში, მას ბრალდებად უყენებდენ კომპარტიის წევრობას, სინამდვილეში-კი მთელი მისი დანაშაული გამოიხატებოდა იმაში, რომ ის წევრი იყო მემარცხენე სასპორტო საზოგადოება „ე ნ ე რ გ ი ა ს ი" და ის წარმოადგენდა ნამდვილ პროლეტარულ ელემენტს.

წინასწარი გამოძიება სწარმოებდა თითქმის $2\frac{1}{2}$ წ. განმავლობაში, რომელსაც არსებითად არაფერი ახალი არ შეუტანია ბრალდებაში. მთელი ამ ხნის განმავლობაში გამოვლილი ტანჯვა-წამებით ის მხოლოდ ფიზიკურად

დასუსტდა და დაუძლურდა. პატიმრობის პირველ წლებშივე იგი ისე დაავადმყოფდა ჭლექით, რომ ციხის ადმინისტრაცია იძულებული გახდა გადაეგზავნა ის ცენტრალურ საპატიმროს საავადმყოფოში. აქედან ის მიჰყავდათ სასამართლოში ჩვენების ჩამოსართმევად. 1927 წ. 15 სექტემბერს 14 სხვა ამხანაგებთან ერთად ის გაასამართლეს 1925 წლის სეიმის არჩევნებში მონაწილეობის მიღების გამო. სასამართლომ ის კომუნისტად იცნო და მიუსაჯა სამი წლის ვადით დაპატიმრება. მან თავდების ქვეშ მოახერხა ციხიდან განთავისუფლება უმაღლეს ინსტანციაში საქმის საბოლოოდ დასრულებამდე. უკანასკნელ ხანებში სენატმა უარჰყო მისი შუამდგომლობა და განაჩენი ძალაში დასტოვა.

ციხეში დაბრუნება მისთვის უდრის სიკვდილით დასჯას, მაგრამ ბურჟუაზია არ ერიდება ასეთ მკაცრ ზომებს თავისი მშვიდობიანობის წონასწორობის შესანარჩუნებლად.

შირვინსკი.

როგორ ეხმარება პოლიტ-ემიგრანტებს ავსტრიის „წითელი დახმარების“ საზოგადოება

ავსტრია თავის გეოგრაფიული მდებარეობით წარმოადგენს ისეთ ქვეყანას, საითკენაც მახლობენ ქვეყნებიდან გამუდმებით მიილტვიან პოლიტ-ემიგრანტები. ამ უკანასკნელთა მატერიალურად სრულიად უზრუნველყოფა და მათთვის სათანადო საცხოვრებელი ბინის აღმოჩენა წარმოადგენს „წ ი თ ე ლ დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს“ მთავარ საზრუნავ საგანს. პოლიტ-ემიგრანტებისათვის თავშესაფარის მიწოდების საქმის უზრუნველყოფა ავსტრიაში გახდა ერთ-ერთი აქტუალური საკითხი, ვინაიდან ვენის პოლიცია ყოველდღიურად არღვევს საამისოდ არსებულ უფლებებს. ამ პოლიტიკურ ბრძოლასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლიტ-პატიმართა დახმარების საქმეს. ავსტრიის „წ ი თ ე ლ დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს“ საზოგადოებამ ააგო ახალი ბანაკი ახლად გადმოხვეწილ პოლიტ-ემიგრანტებისათვის, რომლებიც მოკლებულნი არიან თავშესაფარს.

პოლიტ-ემიგრანტებს 1½ — 3 თვეში ეძლევათ ფულადი დახმარება 20 შილინგის რაოდენობით კვირაში (1 მან. = 3,6 შილინგს). კერძო შემთხვევებში დახმარების გაცემის ვადა გრძელდება 6 თვემდე. უცხოელთათვის რაიმე სამუშაოს აღმოჩენა ავსტრიაში დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ადგილობრივად გამეფებულ უმუშევრობის გამო, ამასვე ხელს უშლის განსაკუთრებული კანონის არსებობა „ შ რ ო მ ი ს შ ი ნ ა უ რ ბ ა ზ რ ი ს დ ა ც ვ ი ს“ შესახებ.

ჩამოსული პოლიტ-ემიგრანტები მეტად ცუდ მდგომარეობაში არიან ტანისამოსის უქონლობის გამო. ისინი ჩამოდიან დახეულ-დაფლეთილ ძველმანებით. ამ მოთხოვნილების დასაფარავად სწარმოებს ტანისამოსის შეგროვება და მისი გადაკეთება. საერთოდ პოლიტ-ემიგრანტების უმრავლესობა დაავადმყოფებულია, რაც შედეგია სიმშილობის, ტანჯვისა და საპატიმროში არსებული ცუდი პირობებისა. მათ ესაჭიროებათ საექიმო დახმარება და მოვლა. ხშირად საზოგადოება მათ აწყობს სრულიად უსასყიდლოდ საავადმყოფოებში, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ეს ვერ ხერხდება და საგრძნობი თანხის გაღება სჭირდება მდგომარეობის გაუმჯობესებას.

1927 წლის განმავლობაში პოლიტ-პატიმრებისადმი საექიმო დახმარება გაწეულია 123-ჯერ, ხოლო მიმდინარე წლის განმავლობაში კი, 52-ჯერ. პოლიციის აღვირახსნილობა პოლიტ-პატიმართა გადასახლება და სხვ. მრავალი მკაცრი ზომები მოითხოვს იურიდიულ დახმარების მოწესრიგებას. 1927 წლის განმავლობაში გაძევებული იყო 100 პოლიტ-ემიგრანტი, მიმდინარე წლის 1-ლ იანვრიდან დღემდე — 33.

გაძევების საწინააღმდეგოთ შემოდის დასაბუთებული პროტესტები. გასულ წელს რეგისტრაციაში გატარებული იყო 84 საპროტესტო განცხადებები. 1927 წლის ივლისის ამბების შემდეგ პოლიტ-პატიმრებისადმი იურიდიულ დახმარების აღმოჩენა ძნელი მოსახერხებელი გახდა. ამავე დროს შესამჩნევად გაუარესდა დაპატიმრებულ პოლიტ-ემიგრანტთა მდგომარეობა. მაგალითად: აკრძალულია საჭმელის გადაგზავნა და დაპატიმრების შესახებ ცნობის მიწოდება „წ ი თ ე ლ დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს“ საზოგადოებისა, ან დამცველ ვექილისადმი.

უკანასკნელ ხანებში გახშირდა პოლიტ-ემიგრანტების გადაცემა თავიანთი მთავრობების განკარგულებაში. ყველაფერი ეს იწვევს პოლიტ-პატიმრებზე იურიდიულ დახმარების აღმოჩენის აუცილებლობას.

„წ ი თ ე ლ დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს“ მიერ პოლიტ-ემიგრანტებზე გაწეული დახმარების აღმოჩენა შემდეგ სურათს იძლევა: 1927 წლის განმავლობაში დახმარება მიიღო 569 კაცმა, მიმდინარე წლის 4 თვის განმავლობაში — 172, მათ შორის 66% იყვნენ მუშები, 19% — გლეხები და 15% — ინტელიგენტები და მოსამსახურეები. პარტიული მიმართულებით: კომუნისტები — 71%, რევოლიუციონურ-ნაციონალურ მოძრაობის მოღვაწეები — 18%, უპარტიონი — 7%, ანარქისტები და სოციალ-დემოკრატები — 4%.

ყველაფერი ამით თვალსაჩინოდ მტკიცდება ის გარემოება, რომ ავსტრიის „წ ი თ ე ლ დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს“ საზოგადოება სდგას თავის მოწოდების სიმაღლეზე და ის პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას პოლიტ-ემიგრანტთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

ფრიც ვინერი.

ჩვენ მარტონი არა ვართ

მძიმე და აუტანელ პირობებში ცხოვრობენ პოლიტ-პატიმრები პოლონეთის საპყრობილეებში, აქ მოქცეული ამხანაგები დიდის წვალებით ღებულობენ დახმარებას თავისუფლებაში მყოფ ამხანაგებისაგან. ერთი სიხარულია მთელს ციხეში, როცა პატიმრები ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ მიიღებენ რაიმე დახმარებას, მათ აღტაცებას საზღვარი არა აქვს. ისინი თავიანთ აღფრთოვანებას ამჟღავნებენ საპასუხოდ გამოგზავნილ წერილებში. ახლო წარსულში რემედასის ც. კ. შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო პოლონეთის ერთ-ერთ ციხეში მოქცეულ პოლიტ-პატიმრებისაგან.

აი, რას იწერებიან ისინი:

ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ უმოწყალოდ ჩაგვყარეს ციხეში, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ერთგულად ვემსახურებოდით მუშათა და გლეხთა განთავისუფლების დიად საქმეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიბრძოდით მუშურ-გლეხურ ხელისუფლების განსახორციელებლად. ჩვენ გვტანჯავს სუსხიანი ხელისუფლება, მაგრამ ჯალათები სასტიკად სტყუვდებიან, პირიქით ეს აუწერელი ტანჯვა და დამცირება უფრო აკაჟებს ჩვენს ნებისყოფას, ვინაიდან ციხის ბნელ ჯურღმულებში ნათელი ხდება ბურჟუაზიული ნაძირალების თვალთმაქცობა და მათი დაუნდობელი პოლიტიკა, რომელიც მთელი თავისი საზიზღრობით მიმართულია პროლეტარიატის იდეალებისათვის მებრძოლ მილიონებისადმი.

ს. ს. რ. კავშირის პროლეტარიატის ძლევამოსილება გზის მანათობელი ვარსკვლავია ჩვენთვის. სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის პროლეტარიატმა არა მარტო დაანგრია მეფის ტახტი, არამედ ის ამავე დროს მაგალითის მაჩვენებელია მსოფლიო პროლეტარიატის ერთსულოვან კავშირის შესაქმნელად. 1926 წ. მათ მიერ ინგლისის სამთომადნო მუშებისადმი დახმარების ბრწყინვალე კამპანიის ჩატარება, ჩინეთის რევოლიუციისადმი დამოკიდებულება, „წითელ დახმარების“ სასარგებლოდ შემოწირულებათა შეგროვება, აი მისი დიადი მოღვაწეობის ცოცხალი საბუთები.

თავისუფლებაში მყოფ ამხანაგებისაგან მიღებული დახმარება უდიდესი ენტუზიაზმით გვავსებს ჩვენ და გვმატებს შეურყეველ ენერგიას დაწყებულ ბრძოლის ბრწყინვალედ დასაგვირგვინებლად. ეს დახმარება დამამტკიცებელია იმისა, რომ ჩვენ მარტონი არა ვართ ბურჟუაზიასთან ბრძოლის მძიმე პირობებში. ჩვენ გვჯერა, რომ არც ისე ადვილია ჩვენი დამარცხება ამ ბრძოლაში.

109 პატიმართა სახელით გიძღვნით მხურვალე და ძმურ სალამს და მადლობას გითვლით პატიმართა კომუნის სახელით.

გადავიტანთ გმირულად

უკანასკნელ ხანებში ჩვენი კომუნა დღითი-დღე ძლიერდება. ციხე სავსეა პატიმრებით, ტანჯვითა და ვაებით. საკნებში ისეთი დახშული ჰაერი სდგას, რომ შეუძლებელია სუნთქვის მობრუნება. წესების მიხედვით 15 საკანში უნდა იჯდეს არა უმეტეს 60 კაცისა, აქ კი ზის 120; ეს 60,როგორც ჰხედავთ ზედმეტია, მაგრამ ისინი გახლავთ „რჩეულნი, პოლონეთის დეფენზივადან“. საკნების ასე დატვირთვა სასიკვდილოდ მოქმედობს ჩვენს ჯანმრთელობაზე. მაგრამ განა ამას ყურადღებას აქცევს ვინმე? პირიქით, ადმინისტრაცია ხელს უწყობს ციხის პირობების გაუარესებას, რომლის მიზანია აქიდან ჯანმრთელი არავინ გამოვიდეს.

საკნებში ძლიერ ბნელა, სინათლე თითქმის არ არის (პატარა სარკმელები მუდამ დახურულია გარედან), სდგას ნესტის საშინელი სუნი. ეზო დიდ ყუთს წააგავს, ის ისე ვიწრო და პატარაა, რომ როცა 50 კაცი ერთად გამოდის გასასეირნებლად ძალაუნებურად დგება წრე, ისინი გამუდმებით გარშემო უვლიან ქვიტკირის გალავანს.

ეზო არაა მოკირწყლული ქვით, მოყრილია ქვიშა და კენჭი, რომლიდან სიარულის დროს დგება საშინელი ბუქი. ეს მტვერი და ბუქი შედის საკნებში, რომლის ჰაერის გაწმენდა უნდა ხდებოდეს გასეირნების დროს, როცა პატიმრები გარედ არიან. საკნები უფრო სალორეს წარმოადგენს, ვინემ ადამიანთა საცხოვრებელ ბინებს.

ჩვენს შორის ბევრნი არიან დაავადებულნი, მაგრამ ისინი ჯერ არავითარ საექიმო დახმარებას არ ღებულობენ. ციხის ექიმს ყველასათვის ერთი და იგივე საშვალება აქვს. ეს გახლავთ ასპირინი, ან იოდი; არიან ამხანაგები, რომლებსაც განზრახვა აქვს კერძო ექიმის მოწვევისა, მაგრამ ადმინისტრაცია კრძალავს ასეთ „თავხედობას“.

ახლო წარსულში ავად გახდა ამხ. პაკინი; ექიმის მტკიცებით მისი მდგომარეობა სერიოზული იყო და საჭიროდ სთვლიდა მის გადაგზავნას საავათმყოფოში. 2 დღის მძიმე ავათმყოფობის შემდეგ ადმინისტრაციამ თანხმობა გამოაცხადა გადაეგზავნათ ის საავათმყოფოში თავისი ხარჯით, საინტერესოა ის გარემოება, რომ ადმინისტრაციას ფიქრად არ მოსვლია, თუ საიდან უნდა დაეფარა ავადმყოფ პატიმარს საავადმყოფოს ხარჯები.

ავადმყოფი ამხანაგები ღამღამობით სიცივისაგან ითოშებიან, ისინი მოითხოვენ სახლიდან თბილი საბნების მიღების ნებართვას, მაგრამ ადმინისტრაციას ესეც დაუშვებლად მიაჩნია.

ადმინისტრაცია ცდილობს ყოველ ჩვენს ნაბიჯს რაიმე პოლიტიკური სარჩული გამოუძებნოს და ამრიგად მას იყენებს ჩვენი ცხოვრების პირობების გასაუარესებლად“.

ფერდინანდ დიუშენ

თამილა

რ ო მ ა ნ ი*)

* * *

ამომავალ მზის ბრწყინვალე ნიაღვარში იძირებიან ცად აზიდული მწვერვალები. დელისი ახლოსაა, სულ ახლოს, მთის ძირში... ის დიდი სოფელია, ოცჯერ დიდი ვინმე ტირილტი, ამავე დროს თეთრია, როგორც რძის ქაფი...

მახლობლად კი, მოსჩანს რაღაც ვეება, ქარვისფერი, მოძრავი, დასერილი ვერცხლის გრძელ ზოლებით... თამილა უსიტყვოდ უმზერს ამ უცხო სანახაობას, რომელიც მას დღემდე არასოდეს არ უნახავს, — ეს არის ფრანგების ქალაქი და მუდამ მოლივლივე ზღვა...

შემდეგ ის მიუბრუნდა გვერდით მიმავალ ლაკრის... შენიშნა ნიღაბი და სიცილი წასკდა... ახ, ჩადრი, ჩადრი... მას დავიწყებული ჰქონდა ეს, მიუხედავად იმისა, რომ თითონაც დაფარული აქვს თეთრი ტიულის ნაჭრით სახის ქვედა ნაწილი. არაბების ქვეყანაში და ქალაქებში ქალები ყოველთვის ჩადრით გამოდიან... აქ ქალები კარჩაკეტილად ცხოვრობენ...

თამილამ ოდნავ შეიჭმუხნა გრძელი წარბები... თვალებზე ბინდი გადაეფარა... ასე გრძელდება რამდენიმე წამით... ის გონებით ჰხედავს აკლის, მის აბრეშუმის ულვაშებს და ლამაზ ხელებს...

თამილამ ლელის ტოტი გადაუქნია ჯორს, პირუტყვმაც უმატა სვლას და ქარავანი ისევ ჩვეულებრივად დინჯად გაემართა...

* * *

რა უცხო და უჩვეულო რამაა ეს მართლმადიდებელთა სოფელი! მას გარს არტყია მაღალი, ვიწროდ და გრძლად გამოხრული, კედელი. გზა, რომელიც ამ კედლისაკენ მიემართება ისე განიერია, რომ ის უდრის კაბილების ქვეყანაში გაყვანილ ათ სხვადასხვა გზას, ერთად შეერთებულს.... ეს გზა გადის რკინის რაზებით ჩამოკიდებულ კარებში, თითეული მათგანი გურბის ორ სახურავზე მეტია...

ღარიბი გურბები — ოლეანდრისა და ურთხმელის სახურავებით... რა პატარები და უმნიშვნელონი გამოჩნდებიან ისინი ამ ვეება ქვის ქარვასლების გვერდით. როცა აკვირდები, გგონია, თითქოს თანისთან იზრდებიან ეს სახლები... ისინი გუმბათებით მიიწევენ სულ მაღლა, მაღლა, სადღაც დაუსრულებელ უსაზღვროებაში... ა, ერთი მათგანი შუაში ამართულა და მაღლით დაჰყურებს დანარჩენებს, ამ სახლის სახურავზე ამართულა გიგანტური რაღაც თავმწვეტი, მინარეთისებური, შუაში კი, ვეება თვალი აქვს ჩასმული...

თამილა ჰხედავს სულ ახალ-ახალ საკვირველებებს. მის წინ გადაიშალა გასაოცარი სანახაობა... თამილა განცვიფრებულია. ამ დროს მას მოუბრუნდა მეზიანი და მრისხანედ გადახედა.

უეცრივ ასტყდა ბრბოს არაჩვეულებრივი ყრიამული. ერთი-მეორეში აირია: დაფდაფების, გენიბრების, რენტის, იუ-იუსა და სხვადასხვა საკრავების ჰანგები, მასვე დაერთო თოფების სროლა... რამდენიმე წუთში უცნაურმა ღრიანცელმა დაჰფარა მთელი უბანი და ის ქუჩა, სადაც ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ დინჯი რონინით, მწყობრად შემოვიდა დაღლილი ქარავანი...

ირგვლივ ატეხილი, უჩვეულო განგაშით გაყრუებული და თოვლივით თეთრ კედელზე აელვებული ბრწყინვალე შუქით დაბრმავებული თამილა დაიბნა... არ იცის სად არის ეხლა... ის ეკითხება თავის თავს იდუმალი ხმით:

— საით მიდის!.. თვალებს ჰხუჭავს და ორივე ხელებით მაგრად ეჭიდება ჯორზე შედგმულ ჩარდახს, რომელშიაც ის ზის.

თამილას მკაფიოდ ესმის მისი ჯორის ფლოქვების ხმა... ის ნელი-ნელ მიემართება წინ... უკვე შეჩერდა... ეხლა თამილა სდგას სწორკუთხოვან, განიერ ეზოს შუაგულში. ირგვლივ ამართულია მაღალი სახლები, რომლებიც დერეფნით ეზოში გამოდიან... დერეფნები დაცულია ხის მოაჯირით, საიდანაც გადმომდგარან აბრეშუმის მოსასხამებში გამოწყობილი და ძვირფას სამკაულებით მორთული ქალები... ისინი ღიმმორევით შესცქერიან თამილას და უგზავნიან მას ჰაეროვან კოცნას... მუსტაფას და მეზიანს ფრთხილად ჩამოჰყავთ ჯორიდან პატარძალი, ყველანი სიხარულით შესცქერიან ახლად მოსულთ...

* * *

ეს ქალები აკლის ახლო ნათესავები და დები არიან. თამილა სასწრაფოდ გაიტაცეს ქალებმა ძვირფასად მორთულ ოთახში, რომლის კედლები საგანგებოდ მტრედისფრად შეაღებინეს დღევანდელი ზეიმის აღსანიშნავად... ქალები ეკითხებიან თამილას მისი სამშობლო სოფლის ამბებს, მისი საქმიანობისა და გასართობების შესახებ. თამილამაც თავის მხრივ უამბო მათ ყველაფერი მგზავრობის დროს მიღებული შთაბეჭდილებების, შინ დატოვებული ყანჩას, ძაღლისა და პატარა, საყვარელი ფისოს შესახებ. ქალები ღიმილით შეჰყურებენ მას; გულდასმით უსმენენ და უძახიან: „ბედნიერად წოდებულს — თამილას“, ვინაიდან მისი სახელი ნიშნავს „მთის ასულს“, ამის შემდეგ ისინი კოცნიან მას უფრო ძალუმად და თან საუბრობენ თამილასათვის გაუგებარ ენაზე...

---

*) იხ. ჟურ. „რემედას“-ის № 6-ე და ჟურ. „კაპიტალის პატიმართა ხმა“. რედ.

აი, მტრედისფერ ოთახში უკვე შემოიტანეს, ორივე, ყვითელი და მწვანე ხის ზანდუკი. ქალები ფრთხილად ალაგებენ აკლის მიერ გაგზავნილ ძვირფას ნივთებს. ატეხილი დავის შემდეგ, რომელიც შესაძლო იყო დიდხანს გაგრძელებულიყო, მათ განზე გადასდვეს ის ნივთი, რომელიც ყველას მიერ უძვირფასესად იქნა მიჩნეული. ნელა, დინჯად, აუჩქარებლივ და მთელი მარაგის გამოყენებით შეუდგენ ისინი თამილას მორთვას.

მოგრებამდე რამდენიმე წუთით ადრე დასრულდა თამილას მორთვა. მხიარული კისკისით, ჟრიამულით, ხმაურით თამილა გაჰყავთ დერეფნით მეორე ოთახში. ნელა, შეირხა ფარდა, აიწია მაღლა, თამილა შედის... ის ინსტიქტიურად შესდგა და ნაბიჯით უკან დაექანა... წინ, განიერ ჩარჩოში ჩასმულ სინათლის სიღრმიდან, პირისპირ მის შესაგებებლად გამოეშართა მეორე პატარძალი...

ისევ გაისმა ღრიანცელი და სიცილი: „სულელო ბავშო!.. სად არის აქ მეორე პატარძალი, — ეს ხომ თითონაა“!.. მას ფრთხილად უბიძგეს... თამილა ზედ შეეხალა სარკიან განჯინას, რომელსაც ეცემა ოთახში სამ სხვადასხვა ადგილას დადგმული ლამფების ვარდისფერი შუქი.

* * *

ნუ თუ მართლა ეს თითონ არის, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით მოსჩანს სარკის სიღრმიდან?.. ახ, საბრალო, კალის პატარა სარკევ, რომელშიაც შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს ორივე ლაწვების დანახვა!.. თამილამ იცნო თავისი თავი: დიახ, ეს თითონ არის, ეს პატარა, ახალი პატარძალია, რომელიც მას შესცქერის პირისპირ... თამილა უღიმის მას, ვინაიდან ის გაცილებით უფრო ლამაზი აღმოჩნდა, ვინემ წარმოდგენილი ჰყავდა...

მაგრამ სად გაჰქრენ სხვა ქალები?..

ის მარტოდ-მარტოა ამ ვეება ოთახში, სადაც სდგას მკრთალი შუქი და საკვირველი ნივთები, ავეჯეულობა, რომელთა არსებობის შესახებ არა იცოდა რა დღემდის... მოოქროვილი სკამები, რაღაც ძალიან დიდი, გადასუდრული ძოწეულით (მასზე დაძინებაც კი შეიძლება), ხალიჩები, ნოხები, რომლების ბეწვებში კოჭებამდე ეფლობა ფეხები, ლამფები, გამჭვირვალე, ბროლის ლამფები, რომლებიც სცემენ ძალიან ბევრ სინათლეს და არასოდეს არ ბოლავენ ხოლმე. კუთხეში სდგას აგრეთვე ლითონის ლარნაკი, სადაც რაღაც იწვის და ირგვლივ სამურ სუნნელებას აბნევს... ის გადაიხარა მუჯამარისაკენ... დიახაც რომ საკვირველი რამაა ეს... მას სანახევროდ ეხუჭება თვალები, უტოკავს სავსე, ათქვირებული მკერდი და ცეცხლებრ ენთება... ის უმალვე მოტრიალდა და სარკისაკენ გაემართა, რათა დარწმუნდეს მართლა აუწითლდენ თუ არა ლაწვები...

ისინი ოდნავ აწითლებულან მხოლოდ... თამილა ისევ პირისპირ შესცქერის თავის თავს... და რადგანაც აქ ეხპირისპირ არავინ არ არის, ის დიდის ყურადღებით ესაყვარლება თავის ორეულს... ის ეხლა უფრო მეტ სიამოვნებას გრძნობს, ვინემ ამ რამოდენიმე წუთის წინად.., ეხლა ნაირ-ნაირ პოზებსაც-კი, ღებულობს, რათა უფრო კარგად დააკვირდეს თავის თავს, საქორწინო მორთულობაში, რათა საბოლოოდ დასტკბეს თავისი შეუდარებელი მშვენიერებით.., მას ბევრჯერ უნახავს ეს, დუარში მოგზაურ მოცეკვავე ქალებისაგან... უეცრივ მან ჯუბიდან წინ წამოსწია განიერი მკერდი, ოქროს ასხმულ წინწკლებით მოქარგულ ტანისამოსში ტალღებივით შეირხა ტანის ყოველი ნაკვთი... ის ნელა შეირხა მთელი სხეულით ვარდისფერ ბოლეროში, რომელიც დამშვენებულია ოქროსივე ასხმულ მძივებით. წელში იხრება, აცვია აბრეშუმის ნაოჭებიანი შარვალი, რომელიც შეკრულია კოჭებთან. მწვანე აბრეშუმის შარვლის ნაოჭები ისე ადგია მას ტანზე, თითქოს ის წელამდე საპნის ქაფში იდგეს... და რომ უფრო დასტკბეს ის თავისი მშვენიერებით, იხრება პატარა ოქროს ფეხსაცმელებისაკენ და ნახევარი ნაბიჯით წინ სდგამს მარჯვენა ფეხს...

დიახ, მშვენიერია ეს ფეხები, მისი ტანის მოკაზმულობა... მშვენიერია ის თითონაც... მისდა შეუმჩნევლად ის თურმე ამპარტავანიც ყოფილა... მას სიამოვნებას გვრის თავისივე სილამაზე, ის თითონ რწმუნდება ამაში... ჰხარობს, ლაღობს და ნარნარებს... მას ეხლა სურს დღემდის უჩინარი საიდუმლოება თავისი სილამაზის შესახებ გალმჟღავნოს საკუთარ თავს... ნელინელ ის მაღლა სწევს თავის ქარვისფერ შიშველ ხელებს, შემდეგ ორივე მკლავებს ჰხრის იდაყვებზე და უმშვენიერეს, ბავშურ თითებს შეღებილი ფრჩხილებით ნელა მიიტანს ოდნავ გახელილ ტუჩებთან, ის ეხლა მზადაა თავის ორეულს სარკის სიღრმეში ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნოს...

მაგრამ, უეცრივ... უკან მან შენიშნა რაღაც აჩრდილი... შემოტრიალდა, შეკრთა, დაიბნა... თამილას ათრთოლებულ სხეულს სალტეებად შემოეჭდო ღონიერი მკლავები იმ ლამაზი ახალგაზრდა მხედრისა, რომელიც მეზიანს ესაუბრებოდა ზეთისხილის ხის ჩრდილში. ჭაბუკმა ის მაგრად მიიზიდა, მიიკრა მკერდზე, თავი გადაუწია და მოწყურებული ხარივით დაწვდა მის ოდნავ გახელილ ტუჩებს. დაბნეული, გაფითრებული, კისერ-მოქცეული, ნახევრად ღია ტუჩებითა და დახუჭული თვალებით ის ნებდება ღვედივით მოქნილი და გარინდებული.

III

სიყვარული

ორი თვე გავიდა თამილას დაქორწინების შემდეგ... გუშინ... მას ეჭვიც კი არ აუღია ამის შესახებ... ეს მან მხოლოდ ამ დილით გაიგო თავისი მულების საშუალებით. ისინი იძულებულნი გახდენ დაემტკიცებიათ ეს. ისინი იძულებულნი შეიქნენ აგრეთვე მოეგონებიათ მისთვის ყოველკვირეული ღირსშესანიშნავი მოვლენები, რომლებსაც დასჭირდა დავა, განმეორება და თითებზე ჩამოთვლაც კი...

როცა თამილა საბოლოოდ დარწმუნდა, მულებმა მას მოურიდებლად, პირში უთხრეს, რომ გათხოვილ ქალს არ შეშვენის ქმრის ეგზომ სიყვარულიო... შემდეგ, როცა

მათ შეამჩნიეს, რომ მოულოდნელი ამბის გაგონებაზე თამილას უეცრივ დაუმრგვალდა ვიწრო და ჩაფიქრებული თვალები, ასტეხეს ისტერიული ხარხარი, მივარდენ მას, გიჟივით შემოეხვივნენ, დაუწყეს ალერსი, კოცნა და ამრიგად მთელი დილა მასთან გაატარეს სრულიად უსაქმოდ...

თამილას მულები — თესადიტი და იამინა ამავე სახლში ცხოვრობენ. სამი შენობა წარმოადგენს ეზოს სამ მხარეს, მეოთხე მხრით მოთავსებულია თავლა, მოფიცრული და სხვინი, რომელთა ქვეშ იღება ალაყაფის კარები.

თესადიტის ქმარს ჰქვია სანდ; ის თემის ხოჯაა. იამინას ქმარი კი — ვეება, ახმახი მაკლუფი, ყოფილი სპაგია. ეხლა ის დანიშნულია შეერთებულ თემის ჩაფრად. რაც შეეხება აკლის, მასაც აქვს თავისი სამსახური და თითქმის ორიც: ის მომრიგებელ სასამართლოს აუნია და ამავე დროს თარჯიმანის მოვალეობასაც ასრულებს სამხედრო ჰოსპიტალში.

ყველა ესენი ცხოვრობენ სრული თანხმობით... სამი ახალგაზრდა და მუდამ მხიარული ქალები... იამინა და ოესადიტი ერთსა და იმავე დღეს გათხოვდენ, მათი მზითევიც თითქმის ერთნაირი იყო. გასულ წელს თითოეულმა მათგანმა დაბადეს თითო მოზრდილი ყმაწვილები. მაშასადამე მათ არავითარი საფუძველი არა აქვთ უკმაყოფილების გამოსამჟღავნებლად, დუარელი პატარა მთის ასულის — თამილას მოსვლის შემდეგ, რომელიც უნდა გადააქციონ ქალაქელ ქალად; მულები ყოველ ფეხის გადადგმაზე ელოლიავებიან თამილას და პატარძლისადმი სიყვარულის გამომჟღავნებაში ეტოქებიან კიდეც ერთიმეორეს.

მამაკაცებიც თანხმობით ცხოვრობენ, თუმცა სულ სხვა მიზეზით: ისინი გამსჭვალულნი არიან მოვალეობის შეგნებით, მისი უდიდესი მნიშვნელობით, რის გამოც დიდის პატივისცემით სარგებლობენ ისინი მთელს არაბულ უბანში, ისინი სულ იმას სცდილობენ, რომ ხალხს თავი ისე მოაჩვენონ, თითქოს ფრთხილად უდგებიან ყოველგვარ წვრილმან საკითხებს, რომლებსაც შეუძლია შუღლი და მტრობა ჩამოაგდოს დაბალ კლასის წარმომადგენელთა შორის. გარდა ამისა ისინი დღისით იშვიათად ხვდებიან ერთიმეორეს, საღამოობით კი, არასოდეს მარტონი არ არიან მავრიტანულ ყავახანაში და თუ ერთად ბრუნდებიან იქიდან, თითოეული მათგანი თავისთვის მიილტვის შინ. დაბოლოს მათ საერთო ინტერესიც აქვთ; ისინი ბაღის პატრონები არიან, ე. ი. მათ ქალაქიდან ორი კილომეტრის მოშორებით, რებევალის გზისა და ზღვის შუა აქვთ სახლი, რომელსაც გარს არტყია ზემოაღნიშნული ბაღი ჰექტარ-ნახევარი მიწით.

სწორედ ამ ბაღის გამო, დღეს დილით თესადიტი და იამინა უმტკიცებდენ თამილას, რომ ის უკვე ორი თვეა, რაც გათხოვილია...

როგორც წარსულში, ისე წელსაც სიცხეების დაწყებისას ისინი რამდენიმე კვირით გაემგზავრებიან დასასვენებლად. მკის დრო უკვე დადგა (მთის სხვა ასულები დიდი ხანია, რაც არ დრტვინავენ)... ვინაიდან საქმე ეხება ნამდვილ გამგზავრებას, ამიტომ საჭიროა დროზე ფიქრი ამის შესახებ. ეს ქალები რომ შორეულ აღმოსავლეთში აპირობდენ გამგზავრებას, მათ სხვა საქმე არაფერი ექნებოდათ.

* * *

თესადიტი და იამინა უკვე სამი დღეა, რაც ფაციფუცობენ, ტრიალებენ, საქმიანობენ: ისინი მიემართებიან მაღლა, ეშვებიან ქვემოდ, ყირაზე აყენებენ სკამებს, აღებენ განჯინებს, ყრიან ნივთებს სავსე ზანდუკებიდან, ავსებენ ცარიელებს, აწყობენ, შლიან, ალაგებენ, ჩერდებიან დროგამოშვებით, ამჟღავნებენ დაღლილობას ინიავებენ მარაოთი და ისევ განაგრძობენ საქმიანობას... თამილაც არ ისვენებს მულების შემხედვარე, ისიც აწყობს, ალაგებს, ყირაზე აყენებს სკამებს, ზანდუკებს, იღლება და თესადიტი და იამინას მსგავსად ინიავებს, თან უკვირს, რომ პირადი სიამოვნებისათვის ეგზომ საქმიანობს...

ბოლოს ოჯახში ალიაქოთი ასე თუ ისე მიწყნარდა. მერმე ალაყაფის კარებთან კუბოების მასკარადივით რიგზე ჩაამწკრივეს ათი თუ თორმეტი ჭრელად შეღებილი ზანდუკები.

დღეს უკანასკნელად იწარმოებს ოპერაცია სახლის გარეთ და, რადგანაც მას დიდი ხანი მოუნდება, ამიტომ საჭიროა საქმე დაწყებული იქნეს დილიდანვე.

თამილა მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ გამოვიდა: ის ჯერ კიდევ ვერაა შეჩვეული ქალაქელ, დელისელ ქალების ტანისამოსს და სიცილით იცვამს სწორ-ნაოჭებიან, განიერ თეთრ შარვალს... „წითელი ტემაგებიც რომ იყოს, — ფიქრობს ის, — მაშინ ის დაემსგავსებოდა მის მაზლს, მაკლუფს“. ის განაგრძობს სიცილს და თან იხურავს ჩადრს, ისე რომ გვერდებით თვალებზე ეფარება, ხოლო ბოლოებით კი უკან, კეფასთან იკრავს; ის თავით და მკერდით გაეხვია აბრეშუმის ნაჭერში ისე, რომ მისი კალთები ჯვარედინად არის გადაკრული წარბებთან.

მერე ის მიდის დიდ სარკიან ზანდუკთან, რათა უფრო დააკვირდეს თავის თავს და დასტკბეს საკუთარი სილამაზით და აი, აქ მას წასკდა უეცარი სიცილი... მოწყალეო ალაჰო!.. მპყრობელო ქვეყნისა!.. ვინ არის ეს ქაჯი — ეშმაკის წარმოგზავნილი, ქალის ლამაზი თვალებით, თეთრეულში გამოხვეული, მიცვალებულის მსგავსი...

ჭეშმარიტად მას მეტად მომხიბლავი თვალები აქვს... ისინი უფრო წარმტაცად გამოიყურებიან, ვინემ თამილას თვალები... ეხლა არავინ არ იცის, რომ ეს ნამდვილი მისი თვალებია... არავინ იცის თუ ვისია ეს თვალები, ეგზომ წარმტაცი და მშვენიერი... რა საუცხოოა... რა მშვენიერი... მართლაც, მისი დამაფრთხობელი ჩადრი ეხლა სრულიად საშიშარი არ არის...

ქარიშხალზე უსწრაფეს შემოვარდა კიდევ ორი ქაჯი...

— წავიდეთ, წავიდეთ!.. განა დღეს დრო არის თავის თავთან, საკუთარი სილამაზით გართობის? ვინაიდან ორივე მულები ერთსადაიმავე დროს სხაპასხუპით ლაპარაკობენ, თამილა ღიმილით შესცქერის მათ და სცდილობს გაარჩიოს, რომელია მათში იამინა და თესადიტი.

* * *

აი, ისინი უკვე ვიწრო და საფეხურებიან მოსახვევში არიან. მიემართებიან ჯგუფად, ერთნაირნი და უსახონი. უსიტყვოდ ეშვებიან ისინი ნელი ნაბიჯებით, თავდახრილნი, რათა უფრო კარგად დააკვირდენ, თუ როგორ სდგამენ წინ სახებიან ფეხსაცმელებს ოღრო-ჩოღროდ ამოხრულ ქვაფენილზე. სპილენძის კოკალები წკარუნებენ კოჭებზე და მკერდზე თეთრი ხაიკის ნაოჭებში... თან თითებიც მოუჩანთ შეღებილი ფრჩხილებით.

ასე მიდიან ისინი ფრანგების განიერ ქუჩამდე, რომელიც ზღვის გასწვრივ მიემართება ერთიდან მეორე კარებამდე. მიდიან ამ ქუჩით მწყობრად ევროპულ უბნისაკენ. ისინი ჩურჩულებენ, მერე ისევ ჩუმდებიან და ძლივს იკავებენ სიცილს. შეერთებულ თემის კანცელიარიის წინ სდგას საკმაოდ განიერი და გრძელი, ხის მერხი. რომელზედაც მკერავის კლასიკური პოზით ზის ვიღაც უცნობი კაცი შავი წამოსასხამით. გვერდით უდგას პატარა ფინჯანი ლამბაქით. დიდებულად ძირს დაშვებულ ხელში უჭირავს პაპიროსი. ის თავით მიყრდნობია კედელს და ზანტად სთვლემს... ეტყობა, მაკლუფი ასრულებს თავის მოვალეობას!..

მაკლუფმა არ ინება შეენიშნა, რომ ეხლა მის ფეხებთან სამმა ქალმა გაიარა... სამმა უმშვენიერესმა ქმნილებამ, რომლებიც ჩაძირულან განიერ, თეთრ შარვლის ნაოჭებში... ქალები გასცილდენ ამ ადგილს... მაკლუფმა ულაზათოდ ასწია მაღლა ხელი და ნელა მიიტანა პაპიროსი უსიცოცხლო ტუჩებთან... ის უაზრო თვალებით გასცქერის გზას.

სამნი... თეთრებში გამოხვეულნი განაგრძობენ თავიანთ გზას და, თან ნელის ხმით ლაპარაკობენ. ისინი შეჩერდენ კოლონიალურ ჰოსპიტლის წინ, სადაც სდგას ცხენოსან ოფიცრის გამცილებელი მსროლელთა „გუნდი". ქალები საჩქაროდ მიეფარენ მართლმადიდებელთა მეჩეთის მოაჯირს. რიკულებიდან, ლინგზე გადაყრდნობილი თამილა უმზერს მის წინ ნიაღვარივით გადაშლილს, ყაყაჩოებით დამშვენებულს მუნდირებს. გუნდი ირევა, მაღლა კი, დარხეული წყლის წვეთებივით ბზინავენ ხიშტები...

ირგვლივ დამდგარი ბუქი გაიფანტა, ქალებმა დასტოვეს საფარი, საჩქაროდ გაემართენ... ისინი უკვე მივიდენ მაბჭირა და მოზაბიტის მაღაზიამდე.

მოზაბიტი ზის საწიგნესთან, მაკლუფივით დინჯი და უსიცოცხლო, მასაც უდგას მუხლებთან ყავა პაწია ფინჯანით.

რადგანაც ეხლა მაღაზია ცარიელია და არავინ არის, სამივე მივარდენ მას პირდაპირ. სხაპასხუპით, ყველამ ერთსა და იმავე დროს ჩამოუთვალეს მაღაზიის პატრონს საჭირო ნივთები. ქალებმა დაასახელეს ოცი სხვადასხვა ნივთი. მოზაბიტმა დინჯად მოისმინა. ის არ თხოულობს არც განმეორებას, არც ახსნა-განმარტებას. მოზაბიტს არც ერთი ზედმეტი სიტყვაც არ დაუხარჯია, ჩვეულებრივის სიდინჯით ჩამოვიდა ძირს, შემობრუნდა ზურგით ქალებისაკენ, უსიტყვოდ დადის წინ და უკან შიშველი ფეხებით, ადის კიბეზე, ჩამოდის, ისევ ადის, მიდის, ბრუნდება უკან... ხუთიოდე წუთი გავიდა: მთელი გროვა ნივთებისა დაყარა იმ ადგილას, საცა ის იჯდა ამ რამდენიმე წუთის უკან. აქვე არის: კონსერვები, ფერად-ფერადი ლენტები, ფეხსაცმელები, სურნელოვანი სითხე. სადურგლო ხელსაწყოები, ტოპსიკები, სანთლები... ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კი მოითხოვეს ახლად მოსულებმა, არაფერია დავიწყებული... მახლობლად, დახლში ზის მეორე, რომელსაც ნიკაპზე ჰკიდია ასირიელი ვაჭრის უძრავი წვერი... ყოველი თმა ამოსულია მის მოლაპლაპე სახეზე გეომეტრიულის განზომილებით და დამშვენებულია ბრტყელი „გეიპურით".

(გაგრძელება იქნება)

თარგმანი: **პოლიო აბრამიასი**

რემედასი უცხოეთში

არაბთა აღმოსავლეთი.

ინგლისის პროფკავშირის ბელადები და მწარმოებლები ცდილობენ კავშირიდან განდევნონ და გააძევონ ყველა რევოლიუციონურად განწყობილი ელემენტები, რათა ამრიგად მუშათა მასების რევოლიუციონური მოძრაობა დიდი ხნით შეაფერხონ. ამავე დროს ინგლისის კოლონიებში სწარმოებს სერიოზული შეტევა ადგილობრივ მშრომელ მოსახლეობის წინააღმდეგ.

ჩვენს მკითხველებს ალბათ ახსოვთ, რომ ამას წინათ ინდოეთში გაიგზავნა ე. წ. საიმონის კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოერკვია მომზადებულია თუ არა ინდოეთში ნიადაგი ახალი რეფორმების გასატარებლად. ინგლისის პროფკავშირების ბელადები წინასწარ გაემგზავრენ ინდოეთში ადგილობრივ მცხოვრებლებთან მოსალაპარაკებლად, რათა ამ უკანასკნელებმა ხელი აიღონ ინლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წრმოებაზე.

ინგლისის იმპერიალიზმის წარმომადგენლები სისტემატიურად დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებენ გაფიცულ მუშების წინააღმდეგ. უმოწყალოდ ხვრეტენ მათ.

სამხრეთ აფრიკაში ფაშისტურ ბანდების დახმარებით დარბეულ იქნა ადგილობრივი მუშების პროფკავშირი. მალაიესა და გონკონგში სასტიკად უმასპინძლდებიან რევოლიუციონურ მოღვაწეობაში შემჩნეულ პირებს.

ინგლისელი იმპერიალისტები მეტად უხეშად, არაადამიანურად და მხეცურად ეპყრობიან თავიანთ ქვეშევრდომებს კოლონიალურ ქვეყნებში. როცა ჩვენ გვეუბნევიან, რომ პალესტინაში ლორდ ბ ა ლ ფ უ რ ა ს სახელობაზე რგავენ ათეულ ათას ხეს, ისმება საკითხი, ხომ არ ფიქრობენ ამ ხეების რტოები ხალხის გასაროზგავად გამოიყენონ მომავალში.

ბუნებრივად გასაგებია ის გარემოება, რომ რევოლიუციონურ მოძრაობებით შეშინებულ ინგლისს სურს სიმშვიდე" და „სიწყნარე" ინდოეთში — ამ უდიდეს გზაჯვარედინზე, რომელსაც წარმოადგენს ეგვიპტე და პალესტინა თუ მუდმივად „მშვიდობა და სიწყნარე" არ იქნა ინგლისის ბატონობას საფრთხე მოელის. ამ მოსაზრებით აიხსნება ის გარემოება, რომ ახლო წარსულში ინგლისმა მეტად ტლანქი თავდასხმები მოუწყო ეგვიპტის მთავრობას, რომელიც მოითხოვდა ადგილობრივი პოლიციის აღვირახსნილობის შეწყვეტას ნაწილობრივად მაინც. ინგლისის ასეთი თავხედური გამოსვლები ადვილად გასაგებია, ვინაიდან იქ პოლიცია ინგლისის განკარგულებაშია.

ინგლისის ხელისუფლებამ გასაგებად განაცხადა, რომ ის ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს, თუ ინდოეთში მას არ ექნება განსაკუთრებული კანონის ცხოვრებაში გატარების საშუალება. ეგვიპტის ხელისუფლებაც დაემორჩილა ბრიტანეთის ლომის ამ ბრძანებას და უკან წაიღო ის ღონისძიებები, რომელთა ცხოვრებაში გატარება მიზანშეუწონლად მიაჩნდა მას. ეხლა კი, ეგვიპტის პარლამენტის წევრები 3 წლის ვადით „შვებულებაში მიავლინა" ინგლისმა.

ინგლისის ხელისუფლება არ კმაყოფილდება ჯაშუშების, პროვოკატორების და ათასი ჯურის აგენტების გავრცელებით, ის ამავე დროს შეიარაღებული ბანდების საშუალებით აწარმოებს მუშათა რევოლიუციონურ მასების ჟლეტას საპატიმროებსა და ქალაქის ქუჩებში. საკმარისია ოდნავი იჭვის მიტანა, რომ საპყრობილეში მოჰყვეს მოქალაქე. ყოველი მოქალაქე, რომელიც უკმაყოფილებას გამოაცხადებს პოლიციელთა საქციელის გამო, დაუყოვნებლივ შეაქვთ შავ სიაში. ახლო წარსულში ეგვიპტეში ინგლისის ხელისუფლებამ დააპატმრა 38 უცხოელი რევოლიუციონერი — იტალიელები და ბერძნები, რომლებსაც ბრალდებად უყენებდენ კომუნისტურ მოღვაწეობას. სრულიად უსაბუთოდ ინგლისის ხელისუფლებამ რამდენიმე მათგანი გადაგზავნა იტალიაში, ალბათ იმ იმედით, რომ მუსოლინის ჯალათები სათანადოთ გაუსწორდებიან მათ. დანარჩენები-კი, იტანჯებიან ალექსანდრიისა და ქაირის საპყრობილეებში.

იმ მიზნით, რომ არაბები დაიფარონ უცხოელ მუშების რევოლიუციონურ გავლენისაგან, ინგლისის ხელისუფლება აპატიმრებს უცხოელებს და პირველი გემით გზავნის მათ თავიანთ სამშობლო ქვეყნისაკენ.

ინგლისის ხელისუფლების უმთავრეს საზრუნავ საგანს წარმოადგენს, რაც შეიძლება ჩქარა გაანადგუროს და ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას ყოველგვარი გამანთავისუფლებელი მოძრაობა ეგვიპტეში. განსაკუთრებული მეთოდებით და სიმკაცრით ებრძვიან რემედასის ორგანიზაციებს, რომელიც ძალიან ბევრს აკეთებს პოლიტპატიმართა დასახმარებლად, როცა რევოლიუციონური მოძრაობის აქტიური ხელმძღვანელებს საპყრობილეში ჰყრის ხელისუფლება.

ჩვენი მოძმე ორგანიზაციების ყოველგვარი ლეგალური მოქმედება აკრძალულია ამ ქვეყანაში. რემედასის მოძმე ორგანიზაციების მიერ გამოცემულ ლიტერატურას კონფისკაციას უკეთებენ. ორგანიზაციის ყველა წევრები განიცდიან სასტიკ დევნას, დაპატიმრებულებს ასახლებენ შორეულ ქვეყნებში საკატორღო სამუშაოზე.

მიუხედავად ყოველივე ამისა პალესტინაში ორგანიზაციები ჯეროვანად ასრულებენ თავიანთ საქმეს. ქვეყნის ყველა კუთხეებში სწარმოებს დახმარების შეკრება პოლიტ-პატიმრებისათვის. ტარდება კამპანიები საპყრობილეებში გამეფებულ რეჟიმის წინააღმდეგ „წ ი თ ე ლ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს" საზოგადოების ინიციატორობით, შეაქვთ შეკითხვები ინგლისის პარლამენტში, ეწყობა საპროტესტო დემონსტრაცია-მიტინგები.

ეგვიპტეში მრავალ განადგურებულ ორგანიზაციების ნაცვლად ყალიბდება ახლები. ამრიგად ეგვიპტის რევოლიუციონური მუშები და გლეხები მჭიდროდ ირაზმებიან გამანთავისუფლებელ დროშის ქვეშ; მტკიცედ მიყვებიან საერთაშორისო მუშათა კლასის მოძრაობას.

„წ ი თ ე ლ დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს" ჯგუფები და კომიტეტები გამრავლდენ სიარიაშიც. მიუხედავად გამოცემული ამნისტიისა ჯერ კიდევ მრავალი თავდადებული მებრძოლი იტანჯება ადგილობრივ საპატიმროების ჯურღმულებში.

რემედასის იდეა ეფინება არაბთა აღმოსავლეთის ყველა კუთხეებს. ჯერ-კიდევ არა სჩანს ის ძლიერი ძალა, რომელიც ჩქარა ჩამოაყალიბებს ამ ქვეყნებში რევოლიუციის მტკიცე წითელ ზურგს, მაგრამ, რემედასმა ამ კუთხეში შეიტანა ამის იდეა და შორს არ არის ის დრო, როცა ეს სისრულეში იქნება მოყვანილი.

ლალ არუნა.



ანტიიაპონური მიტინგი შანჰაიში. ბაქანი ორატორებისათვის.

წერილები ადგილებიდან

აღვადგინეთ უჯრედი

(ს. გეჯეთი. სენაკის მაზრა)

სოფელ გეჯეთში რემედასის უჯრედი ჩამოყალიბდა 1926 წ., მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ რამდენიმე ხნით არსებობის შემდეგ ყოველგვარი მუშაობა მივიწყებული იქნა და ორგანიზაციაც დაიშალა. ასეთ არა ნორმალურ მდგომარეობას ნაწილობრივად ხელი შეუწყო ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელ ამხანაგის გარდაცვალებამ. რემედასის სხვა დანარჩენ წევრებს კი აზრათაც არ მოსვლიათ ორგანიზაციის მუშაობის განახლება, კმაყოფილდებოდენ მხოლოდ საწევრო წიგნაკებით, რომლებიც უკვე დარიგებული ჰქონდათ.

უკანასკნელ ხანებში ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია რემედასის სენაკის სამაზრკომმა. გაიგზავნა ადგილობრივად წარმომადგენელი, რომელმაც ჩამოაყალიბა ახალი უჯრედი. ივნისის 30 ადგილობრივ კომპარტიის და კომკავშირის გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა ვრცელი მოხსენება რემედასის მიმდინარე ამოცანების შესახებ; რის შემდეგ კრებამ აირჩია ბიურო 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით; არჩეულია აგრეთვე სარევიზიო კომისია 3 წევრისა და 2 კანიდატის შემადგენლობით.

ამრიგად დაქსაქსული ორგანიზაცია ისევ ჩამოყალიბდა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახლად არჩეული ამხანაგები გაამართლებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და პირნათლად შეასრულებენ გლეხთა ფართე მასების ინტერნაციონალურად მომზადების დიად ამოცანებს, რომელიც მთავარი პირობაა რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარების საქმის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად.

პოლიკარპე ოჩიგავა.

რემედასის რაიკომის მუშაობა

(სადგურ აჯამეთი)

მიმდინარე წლის ივნისის 12 სად. აჯამეთში შესდგა ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება. რემედასის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბ. ცირეკიძემ, რის შემდეგ გაიმართა აზრთა-გაცვლა გამოცვლა. კამათში მონაწილეობა მიიღო სამტრედიის საუბნო კომიტეტის ინსტრუქტორმა ამხ. ჯანჯღავამ.

კამათის შემდეგ კრება ერთხმად იწონებს მუშაობას და სთვლის მას დამაკმაყოფილებლად.

ასეთივე კრება ჩატარდა სად. ხრესილში, სადაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვ. ფარცვანია. მოხსენების შემდეგ კამათში გაცხოველებული მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მუშებმა ამხ. გენაძემ, ობოლაძემ, ჩიხლაძემ და სხ. რკინის გზის რემედასის რაიკომის მუშაობას კრება სცნობს დამაკმაყოფილებლად.

რის შემდეგ კრება დაიხურა.

ზუგდიდელი.

მ ე ბ რ ძ ო ლ თ

სიმართლისა და ძმობისთვის მებრძოლთ,
ვერ შეაშინებს მტარვალთ მუქარა.
წითელი დროშა მთელს მსოფლიოში
აფრიალდება მალე, სულ ჩქარა.
სულ სხვა სამყაროდ გარდაიქმნება:
ჩაგვრის, მონობის, ტანჯვის ქვეყანა —
და ხალხთა შორის თანასწორობის,
შრომის დიდების დადგება ხანა.
დღეს თუ ბორკილი გიწყლულებთ ფეხებს,
მტერი თუ სისხლით უნდობლად ძღება —
ხვალ სიხარული მოვა ელვებათ
მთელი სამყარო ბრძოლად ადგება.
იფეთქებს ყველგან ოქტომბრის რისხვა,
თქვენ გადაისვრით მტანჯავ ბორკილებს,
მზის ცხელი შუქი გაათბობს მონებს,
დაჩაგრულ ერთა, დაჩაგრულ შვილებს.

კავლე გლიაძე.

ბორჯომის საქ.-საფ სკოლის მოწაფე.

ჩვენი მუშაობა

(სადგ. ტყიბული).

მიმდინარე წლის ივლისის 27, შესდგა სადგურის ტყიბულის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება. ქუთაისის რკინის გზის უბნის რემედასის რაიკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა რემედასის რაიკომის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ბ. ც ი რ ე კ ი ძ ე მ. მომხსენებელმა კრება გააცნო რაიკომის წარსულ მუშაობას და მომავალ სამუშაო პერსპექტივებს.

როგორც ირკვევა რაიკომს შემუშავებული ჰქონია სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვითაც ის ხელმძღვანელობას უწევს რემედასის უჯრედებს მუშაობის მეტი ნაყოფიერებისათვის. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ რემედასის უჯრედები და ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას აქცევენ მშრომელთა როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მასებში რემედასის იდეის პოპულიარიზაციას.

მომხსენებელმა საერთო კრებას გადასცა ლატარიაში გასათამაშებლად რაიკომიდან გადმოგზავნილი შემდეგი ნივთები: ერთი კედლის საათი, ერთი საშარვლე და სახალათე, რომელსაც კრება დიდის აღფრთოვანებით შეხვდა.

საერთო კრება კმაყოფილებას გამოსთქვამს რაიკომის მიერ წარმოებულ მუშაობის შესახებ და ხელმძღვანელ ამხანაგებს უსურვებს მომავალში მეტი ნაყოფიერებით მუშაობას, საერთაშორისო ბურჟუაზიულ ქვეყნების ციხეებში მოქცეულ პატიმართა მძიმე პირობების შესასუმქებლად.

ვ. ფარცვანია.



გახსოვდეთ კაპიტალის პატიმრები!

ამხ. ფარცვანიას გამოწვევით ქუთაისის რკინის გზის რემედასის სალაროში, პოლიტ-პატიმართა სასარგებლოთ შემომაქვს 3 მან. (ქვითარი № 203) და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. ათანასი ფილიას, 2. ონისიმე ნარსიას, 3. ვასო გვენეტაძეს, 4. მიხეილ ბრეგაძეს, 5. კირილე სტურუას და 6. არსენ კაჭარავას.

ვანო ტყაბლაძე.

სამსონ გოგოლაშვილი.

ამხ. ვ ა ს ო ფ ა რ ც ვ ა ნ ი ა ს გამოწვევით რემედასის სასარგებლოთ რკინის გზის რემედასის უჯრედში შემომაქვს 3 მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. ილია კაჭარავას, 2. სოკოლოვს (პჩ. ვ), 3. ივანე ცირეკიძეს, 4. ივანე უგრეხელიძეს, 5. ივანე ტყაბლაძეს, და ივანე კიკვაძეს.

ლავრენტი ცანავა.

ამხ. კოლია ელიაშვილის გამოწვევით რემედასის სასარგებლოთ შემომაქვს 3 მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. რომანოზ ჯიქიას, 2. პახ. ამბროლაძეს, 3. სამსონ გალათურიას, 4. ალ. მურეშიძეს, 5. არჩილ ცირეკიძეს, 6. არჩილ ბუბაშვილს და 7. ანტონ ბრეგაძეს.

რაჟდენ ცირიკიძე.

ამხ. ბ. ც ი რ ე კ ი ძ ი ს გამოწვევით რემედასის სასარგებლოდ სადგურ ქუთაისის რკ. გზის რემედასის რაიკომის სალაროში (ქვითარი № 148) შემომაქვს სამი მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს: 1. ს. დ. გ ვ ი ლ ა ვ ა ს, 2. ნ. ფ ხ ა კ ა ძ ე ს, 3. ბ. კ ა კ ა ტ ე ლ ა შ ვ ი ლ ს, 4. გ. თ ვ ა ლ ა ძ ე ს, 5. ტ რ ი ფ ო ნ ც ა გ უ რ ი ა ს და 6. ი ლ ი ა კ ო ხ რ ე ი ძ ე ს.

ლ. ჭირაქაძე

პ/მგ. რედაქტორი: თენგიზ ულენტი.

სარ. კოლეგია: 1. ალ. ძოწიავა. 2. მიხ. ცქვიტინიძე. 3. პოლიო აპრამია.

ტფილისი

ტფილისი—ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტ. 1-ლი სტ. პლეგ. პრ. № 91. მთავლ .№ 1713. შეკვ. № 1406. ტირაჟი 5000.

ს. ს. ს. რ.

სახელმწიფო გამომცემლობა

ს.ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობას

მომავალ სასწავლო სეზონისათვის **აქვს დამზადებული დიდძალი საპანცე-ლარიო და სასწავლო ნივთები.**

ყველა ტიპის და საფეხურის სკოლები უზრუნველყოფილია **სახელმძღვანელოებით.** ქართულ, რუსულ, სომხურ, თურქულ და ოსურ ენებზე. სახელგამის მაღაზიებშივე იყიდება **ფიზიკურ კაბინეტებისათვის** საჭირო აპარატები და ხელსაწყოები. შეკვეთებით მიმართეთ სახელგამს: რუსთაველის გამზირი № 22. **შეკვეთს სრულდება სწრაფად** პირობები და ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია.

ВСЕГРУЗИНСКИЙ СОЮЗ
ВИНОГРАДО-ВИНОДЕЛЬЧЕСКИХ
КООПЕРАТИВОВ

„ГРУЗВИНСОЮЗ"

НАТУРАЛЬНЫЕ КАХЕТИНСКИЕ, ИМЕРЕТИНСКИЕ, „ХВАНЧКАРА" ВИНА ВОДКИ, КОНЬЯКИ, ЛИКЕРЫ И ПР. ДЕССЕРТНЫЕ СЛАДК. ВИНА.

„Грузвинсоюз" об'еденяет все виноградо-винодельческие кооперативы Грузии.

Отделения и представительства: БАТУМ, СУХУМ, БАКУ, КРАСНОВОДСК, ЗАКАСПИИ, ТУАПСЕ, ПЯТИГОРСК, РОСТОВ/ДОН. ХАРЬКОВ ЛЕНИНГРАД И СВЕРДЛОВСК.

—

Гл. контора и склады—Тифлис, Гоголевская ул., № 63, тел. № 4-65

Кутаис—ул. Церетели,—78, винный подвал.

ЗАКАВКАЗСКОЕ АВТО-ТРАНСПОРТНОЕ ТОРГОВО-ПРОМЫШЛЕННОЕ АКЦИОНЕРНОЕ ОБЩЕСТВО

„ЗАКАВТОПРОМТОРГ"

Главнейшие авто-лини: Тифлис-Владикавказ, Тифлис-Коджоры-Манглис, Боржом-Ахалцих-Ахалкалаки, Боржом-Ахалцих-Абастуман, Зугдиды Сухум-Н. Афон-Гудауты-Гагры, Кутаис-Они, Кутаис-Багдад, Кутаис-Цхалтубо, Кутаис-Хони, Батум-Пригородние дачные места: Зеленый Мыс, Махинджаури, Батум-Хуло, Евлах-Нухи-Закаталы, Евлах-Шуша.

Ганджа вокзал-город-Аджикенд, Куба-Хичмас. Эривань-Делижан-Акстафа, Эривань-Эчмиадзин, Караклис Делижан Эривань.

ПАССАЖИРСКОЕ ДВИЖЕНИЕ ОБСЛУЖИВАЕТСЯ АВТОБУСАМИ МАРОК: „ФИАТ", „ЛЯНЧИЯ", А ТАКЖЕ ЛЕГКОВЫМИ МАШИНАМИ.

Грузовое движение в городах: в ТИФЛИСЕ, БАКУ, БАТУМЕ, КУТАИСЕ и СУХУМЕ.

Авто-ремонт в мастерских: в Тифлисе, Эривани, Баку, Батуме Сухуме.

МАГАЗИНЫ: В ГОР. ТИФЛИСЕ, БАКУ И ЭРИВАНИ.

ფასი 20 კაპ.

≡ ახალი სოფელი ≡

საქ. კომ. პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის ყოველკვირეული
სასოფლო გაზეთი.

რედაქცია: ტფილისი ვოლოდარსკის ქ., № 11, ტელ. 15-38.

გაზეთის ფასი:

წლით	1 მ.
ექვსი თვით	60 კ.
სამი თვით	40 კ.

ბოლშევიმაღინა **ვვაქვს** რადიო. ნაწილები, საკერავი მანქანები
და 1 ოქტომბრიდან კეთდება ნემსის ძარხანა.

ЛУЧШАЯ на КАВКАЗЕ
заново отремонтированная

ГОСТИНИЦА „ОРИАНТ“

ТИФЛИС, проспект Руставели, 9, в центре города, против Дворца.

== Все удобства. Чистота. Покой. Уют. ==

ЦЕНЫ №№ от 2 р. 50 к.

ТЕЛЕФОН КОНТОРЫ—23-50. Швейцар—9-92.
2-й этаж. 11-56.

Производство точных оптических стекол

Тифлис, пр. Руставели, 11. **В. Г. ГОРНИГ** Тифлис, пр. Руставели, 11.

რემედასის ლატარიის გათამაშება

ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, საქართველოს რემედასის ცენტრ. კომიტეტმა გამოსცა ერთდროული ჟურნალი **„კაპიტალის პატიმართა ხმა“**. ჟურნალის გავრცელებასთან დაკავშირებით მოეწყო ლატარიის გათამაშება, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ ჟურნალის ტალონის შემძენნი.

გათამაშებულ იქნა სამი ადგილი **ბორჯომის, წალვერის** და **ქობულეთის დასასვენებელ სახლებში.** სეზონის სამი აბონემენტი სახ. ოპერაში, სეზონი, 5 აბონემენტი კინოში და 250 პრემია რემედასის ბიბლიოთეკების სახით.

ა.-წ. 28 აგვისტოს რემედასის, პარტიის, კომკავშირის და რკინის გზის მუშათა წარმომადგენლების თანადასწრებით მოხდა ლატარიის გათამაშება.

პრემიები ერგო შემდეგ ნომრებს:

ერთი ადგილი ბორჯომში—38849, ერთი ადგილი წალვერში—6666, ქობულეთში ერთი ადგილი—85.194 სამი აბონემენტი ოპერაში—43868, 97633, 1149. ხუთი აბონემენტი კინოში—55323, 0945, 77989, 62826; 51386.

რემედასის ბიბლიოთ. ერგო შემდეგ ნომრებს: 56445, 0854, 100000, 25832, 58103, 99239, 59348, 38405; 62301; 47644, 30245, 61850; 56792; 61850, 5209. 99741 94160, 56792, 7155, 0149, 58260 16539, 3813, 55905, 55,48561, 17522, 28278, 658, 97859, 7731, 10328, 655, 33526, 1337, 48592, 17766, 0634, 4996. 76118, 35409, 88443, 16952, 24431, 95363, 64941, 62843, 85212, 8473, 0262, 31767, 64136, 69685, 44498, 92628 10684, 80355, 19944, 53376, 8974, 36640, 14486, 45041, 80849, 89, 79549, 18117, 1898, 74100, 98859, 92131, 98056, 4173, 38359, 12475, 56865, 50620, 12735, 76751, 39900, 826, 55744, 59687, 2359, 929, 32923, 22315, 90115, 57806, 58281, 97991, 0462, 34137, 50611. 79522, 0481, 56332, 32462, 44515, 56397, 91894, 80832, 63509, 57916, 66396, 49084, 28637, 58477, 31774, 57212, 54734, 83928, 24, 17969, 3537, 6321, 55369, 31599, 1441, 75099, 75795. 46218, 16802, 27539, 93468, 6112, 27826, 3822, 19165, 26197, 85042, 8067, 4668, 0159, 54320 70634, 69636, 59818, 56040. 34947, 83786, 15549, 0352, 26541, 72946, 0488, 0738, 99147, 75426, 0450, 72092, 91563, 88869, 6653 71619, 11489, 96440, 6862, 32587, 65143, 58206, 919, 68474, 124, 319, 9314. 97254. 88455, 793, 57385, 98645, 168, 44303, 17640, 88486, 87007, 698, 57861, 39916, 56979, 27931, 768, 5224, 31116, 690, 197, 94236, 6136. 14718, 45729, 311, 829, 72, 19548, 408, 40, 33242 260 9, 61005, 57101, 8840, 82647, 884, 71057, 1, 6970, 35284, 33658, 46631, 51679, 46617, 679, 12048, 48798, 67390, 810, 25359, 65714, 17195, 2698, 89009, 858 58514, 7053, 722, 720, 62039, 83523, 61815, 428, 25024, 2590, 70245, 76786, 1579, 26, 52859, 441, 599, 63621, 32320, 84199, 3656, 92469. 659, 96482, 93565, 429, 34199, 76780, 95657, 22104.

მოგების მისაღებათ, მოქალაქეებმა უნდა მიმართონ საქ. რემედასის ცენტრ. კომიტეტს არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 25-სა, რის შემდეგ მოგების გაცემა შეწყვეტილი იქნება. რემედასის **ცეკა** (ლენინის ქ. № 29).